კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

ლაშა ლიპარტელიანი

ერაყის ქურთისტანის პრობლემა ახლო აღმოსავლეთის კონტექსტში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მაია კაპანაძე

თბილისი - 2020

ანოტაცია

ქურთისტანის პრობლემა ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში. მათ შორის გასნაკუთრებული აქტიურობით ხასიათდება ერაყის ქურთისტანის პრობლემები, რომელიც არამცთუ კონკრეტულად ამ რეგიონის, არამედ მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია უკვე კარგახანია. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ერაყშუ სადამ ჰუსეინის მმართველობის დასრულების შემდეგ. ერაყის ქურთები ყოველთვის გამოირჩეოდნენ დსამოუკიდებლობისაკენ სწრაფვით, მაგრამ სადამის რეჟიმის დასრულების შემდეგ მათ ამისთვის ხელსაყრელი პირობები შეექმნათ, რადგანაც ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლება 2003 წლიდან ძალიან სუსტია. შესაბამისად, ერაყის ქურთისტანმაც არ დააყოვნა და გააააქტიურა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ფაქტია,რომ ერაყის ქურთისტანის პრობლემა მხოლოდ ამ ქვეყნის პრობლემა არ არის. ის მთლიანად რეგიონზე სერიოზულ ასახვას ჰპოვებს, რადგანაც ქურთები გარდა ერაყისა ირანში თურქეთში და სირიაშიც არიან.

ერაყის ქურთისტანის აქტიურობისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა რეგიონში „არაბული გაზაფხულის“ შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისის ფონზე. ერაყელი ქურთები ძალიან გააქტიურდნენ და მათ გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები ერაყისაგან სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მათ ამ საქმეში სერიოზული მხარდამჭერები ჰყავდათ რეგიონის გარედან-კონკრეტულად აშშ-საგან. მათ რეფერენდუმიც კი ჩაატარეს და თითქოს დამუსრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ერთი ნაბიჯიღა აკლდათ, მაგრამ მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც ვარაუდობდნენ. ამისი ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობა სერიოზულ პრობლემას შექმნიდა რეგიონში და ისედაც იქ არსებულ პოლიტიკურ კრიზის კიდევ მეტად გაამძაფრებდა.

Anotation

The problem of Kurds is one of the key issues in Middle Eastern politics. Among them Iraqi Kurds' problems are particularly active, Which has been the center of attention not only in this region but also in the world for a long time. It became especially active after the end of the authoritarian regime of Saddam Hussein. Iraqi kurds have always stood out for their aspiration for indefendence, especially after the end of the Saddam's regime, there were favorable conditions for them, because the central government has been weakening since 2003.therefore, Iraqi Kurds did not delay and kept going desperate struggle for indefendence.It is fact that the problem of Iraqi Kurds is not only a problem for this country, it has a serious impact on the region as a whole, because kurds are in Iran, Turkey and even in Cyria.

The political crisis, generated from Arab Spring, created favorable conditions for Iraqi kurds. Iraqi kurds became extremely active and they took important steps to aquire full indefendence from Iraq. They hoped that they had serious support of the US. They even held a referendum and they lacked one step to gain indefendence, but things did not go so well, as they were supposed to. One of the reason was that Iraqi kurds indefendence would create more serious problem in this region and would aggravate the political crisis there.

Lasha Liparteliani

სარჩევი

შესავალი.....5

თავი I. ქურთების პრობლემის ასახვა მსოფლიო პოლიტიკაში.....10

1.1. ქურთების განვითარების ისტორიული ეტაპები.....10

1.2. ქურთული სახელმწიფოს წარმონაქმნის ჩამოყალიბება - „აიუბიანთა სამეფო“.....16

1.3. ოსმალეთის და სპარსეთის იმპერიების დაპირისპირება ქურთისტანის გარშემო.....21

თავი I I. პირველი მსოფლიო ომი და ქურთების პრობლემის გააქტიურება.....27

2.1. ქურთული სახელმწიფოს საკითხი საიქს-პიკოსა და სევრის ხელშეკრულებებში.....27

2.2.ქურთისტანის ტერიტორიების დანაწილება და ერაყის ქურთისტანის ჩამოყალიბება.....32

თავი I I I. ერაყის ქურთისტანის გზა დამოუკიდებლობისაკენ.....37

3.1. მუსტაფა ბარზანი და ერაყის ქურთისტანის სტატუსი.....37

3.2. ერაყის ქურთისტანის პრობლემა სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში.....42

3.3. აშშ-ის ინტერვენცია და ერაყის ქურთისტანის ავტონომიის იურიდიულად გაფორმება.....47

3.4. ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი და მისი შედეგები.....53

დასკვნა.....58
გამოყენებული ლიტერატურა.....62

შესავალი

თემის აქტუალობა

ქურთების საკითხი არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის, არამედ ზოგადად მსოფლიოსთვის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნოსი, რომელსაც არასოდეს ჰქონია სახელმწიფო. ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ იყო მცდელობა ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნისა, რომელიც იმ პერიოოდში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე არ მიიჩნიეს „მიზანშეწონილად". დღეს 40 მილიონიან ქურთულ ეთნოსს არ გააჩნია სახელმწიფო, რომლებიც ოთხი სახელმწიფოს (ირანი, თურქეთი,, ერაყი და სირია) ტერიტორიაზე არიან განთავსებული. ერაყში მათ გააჩნიათ ფართო ავტონომია, თუმცა ისინი დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვიან და ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეით გამოდიან.

საკვლევი კითხვები

- ✓ როგორია ერაყის ქურთისტანის პოლიტიკური მდგომარება?
- ✓ შესაძლებელია თუ არა ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება?

- ✓ რამდენად ხელსაყრელია ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ერაყის ქურთისტანისათვის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის?

თემის ჰიპოთეზა

დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ერაყის ქურთისტანი შეინარჩუნებს თავის ფართო ავტონომიას ერაყის სახელმწიფოში და ის ვერ ჩამოყალიბდება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რადგან მას არ შესწევს ძალა, რომ დამოუკიდებლად იმოქმედოს, მიიღოს გადაწყვეტილებები და გადადგას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, როგორც პოლიტიკურად ისე სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით.

კვლევის საგანი: ერაყის ქურთისტანის პრობლემა

კვლევის ობიექტი: ერაყის ქურთისტანის პრობლემის გავლენა ახლო აღმოსავლეთზე

თემის მიზნები და ამოცანები

ჩვენს მიერ არჩეული სამაგისტრო თემის მიზანია, შევისწავლოთ და გავაშუქოთ ზოგადად ქურთების, კონკრეტულად კი ერაყის ქურთისტანის წინაშე არსებული გამოწვევები და ის პრობლემები, რაც მათ ხელს უშლით სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში.

საკვლევი თემიდან გამომდინარე დასახულ ამოცანებში სხვადასხვა ენაზე არსებული მასალების შესწავლისა და გაანალიზების მეშვეობით ავსახეთ ამ პრობლემასთან დაკავშირებით არსებულ გამოკვლევები და შესაბამისად ვეცადეთ გაგვეკეთებინა სწორი ანალიზი იმასთან დაკავშირებით, რაც რეალურად აფერხებს ერაყის ქურთისტანის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია პოლიტიკური რეალიზმის სკოლის „ძალთა ბალასნის“ თეორიას, რომელმაც საშუალება მოგვცა უკეთესად გაგვეანალიზებინა ის ძირითადი პრობლემები, რაც აფერხებს ქურთული სახელმწიფოს შექმნას ერაყში.

ასევე გამოყენებული იქნება „უსაფრთხოების დილემა“ და კონფლიქტის მაგალითები. კვლევაში ასევე გამოყენებულია „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია“ -კოენისეული კონცეფცია, რომელიც მოიცავს საერთო საფრთხეების აღიარებას.

კვლევის მეთოდები

თემის დამუშავების დროს გამოვიყენეთ თვისობრივი კვლევის მეთოდებს

- ✓ ემპირიული კვლევის მეთოდები
- ✓ ინტერდისციპლინარული მეთოდი
- ✓ ისტორიულ-აღწერილობითი
- ✓ არსებული თეორიული მასალის განხილვა
- ✓ ანალიზი და დასკვნების გამოტანა
- ✓ კონტენტ-ანალიზი
- ✓ შედარებითი ანალიზის მეთოდი
- ✓ ნარატიული ანალიზი

თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ჩვენი თემის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში ვლინდება, რომ საკმაოდ ბევრ მასალას გავეცანით ერაყის ქურთისტანის როლზე და მნიშვნელობაზე ახლო აღმოსავლეთში და ბევრად ინფორმირებული ვართ ვიდრე აქამდე. ვეცადეთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით შეგვექმნა აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც დააკმაყოფილებს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებს.

შესაძლებელია აღნიშნული მასალა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სემინარების და ლექციების ჩატარების დროს, ასევე უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც, რითაც ყველა დაინტერესებული ადამიანი უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებს ამ საკითხთან დაკავშირებით და საჭიროებისამებრ გამოიყენებს მას.

კვლევის შედეგების განხილვა

ჩვენს მიერ წარმოდგენილ თემაში გავაშუქეთ ქურთული პრობლემის შესახებ მიმდინარე პროცესები, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ. ნაშრომში განსაკუთრებით დიდი ადგილი დაეთმო ერაყის ქურთისტანის აქტიურობას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისაკენ მიმავალ გზაზე, რაც განსაკუთრებით გააქტიურდა სადამ-ჰუსეინის მმართველობის დასრულების შემდეგ. ასევე ყურადღებას გავამახვილეთ ბოლო პერიოდში, კონკრეტულად კი რეფერენდუმის ჩატარების შედეგად იმ გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე, რამაც გაურკვეველი ვადით შეაფერხა ერაყის ტერიტორიაზე ქურთული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. აქვე გავაანალიზეთ რეგიონის პოლიტიკაში მოთამაშე დიდი სახელმწიფოების როლ და მიზნები ქურთისტანის სახელმწიფოსთან მიმართებაში. შევეცადეთ გაგვერკვია ის ძირითადი შემაფერხებელი მიზეზები, რამაც რეფერენდუმის შედეგების განხორციელებას შეუქმნა რეალური დაბრკოლება.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა

ჩვენი თემის ირგვლივ მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია გ. სანიკიძის, გ. ალასანიას და ნ. გელოვანის წიგნმა „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.- XXI ს.-ის დასაწყისი)“ თბილისი, 2011.

სადაც ავტორები განიხილავენ ერაყში შექმნილ ვითარებას და ქურთებთან დაკავშირებულ პრობლემებს სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში.

მუსტაფა და მასუდ ბარზამების ბრძოლა ქურთისტანის დამოუკიდებლობისათვის კარგადაა გაანალიზებული А. Ш. Хаурами-ის წიგნში Масуд Барзани, Мустафа Барзани и курдское освободительное движение, 1931—1961 гг. Наука 2005, სადაც დეტალურადაა განხილული მასუდ და მუსტაფა ბარზამების მიერ ქურთისტანის დამოუკიდებლობისთვის გადადგმული ნაბიჯები და მათი თავდადებული ბრძოლა.

ქურთისთანის საკითხი და მისი მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთში, კარგად აქვს შესწავლილი რევაზ გაჩეჩილაძეს, თავის წიგნში „ახლო აღმოსავლეთი“, თბილისი, 2013. მასში კონკრეტულად ასახულია ქურთების როგორც ტომების წარმოშობა, თუ საიდან და როგორ მოხდა მათი დასახლება ქურთისტანის ტერიტორიაზე და რა მნიშვნელობა აქვს ქურთისტანის საკითხს ახლო აღმოსავლეთში.

David Mcdowall. „A Modern History of the Kurds“. 2004 y. არის წიგნი, რომელიც საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს უქხლესი პერიოდის ქურთების მისწრაფებებსა და მცდელობებზე დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შესაქმენლად, რამაც დიდი დახმარება გაგვიწია ნაშრომზე მუშაობისას.

ქურთების ისტორიული წარსული, თუ საიდან მოდიან ისინი, როგორ დაიმკვიდრეს თავი, რა წინააღმდეგობები შეხვდათ თვითდამკვიდრებისკენ მიმავალ გზაზე და როგორ გაუმკლავდნენ ამ ყველაფერს, კარგად აქვს განხილული М. С. Лазарева и Ш. Х. Мгои-ებს თავიანთ ნაშრომში „История Курдистана, курдских исследований“. 1999г., რაც თემის განხილვისას მნიშვნელოვნად დაგვეხმარა.

თავი I

ქურთების პრობლემის ასახვა მსოფლიო პოლიტიკაში

ქურთები უძველეს მოსახლეობას წარმოადგენენ ახლო აღმოსავლეთში. მიუხედავად მათი მრავალრიცხოვნობისა, არ გააჩნდათ ერთი წახელმწიფო, სადაც დაიმკვიდრებდნენ თავს.

ყველა ის ტერიტორია სადაც დასახლებულნი იყვნენ ქურთები სხვადასხვა იმპერიების დავის ობიექტს წარმოადგენდა და ხშირად იწვევდა საომარ დაპირისპირებებსაც. ერაყის ქურთებისთვის უმძიმესი აღმოჩნდა დამოუკიდებლობის მოპოვების გზა, სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში.

ძალთა ბალანსის თეორის მიხედვით საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და სახელწიფოების ძირითადი ამოცანაა თვითგადარჩენა და თვითდამკვიდრება, რომლის აუცილებელი პირობაა უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. ერაყელი ქურთების შემთხევაში ეს გამოიხატება დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაში და სურვილში შექმნან საკუთარი ავტონომიური სახელმწიფო, თუმცა ეს ფაქტი რეგიონში

საკმაოდ დიდ საფრთხეს ქმნის, შესაბამისად ეს საკითხი განხილვის საგანი დიდი ხანია აღარ არის.

1.1. ქურთების განვითარების ისტორიული ეტაპები

ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი და მეორე ათასწლეულების მიჯნაზე მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ახლანდელი თურქეთ-სირიის საზღვარი) ორი სამეფოს საზღვარი გადიოდა. ერთი მხრივ, იყო ხეთების სამეფო, მერე მხრივ კი - მითანი, რომლის მოსახლეობაც ხურიტებისა და სემიტებისგან შედგებოდა. როდესაც ხეთების სამეფო დაიშალა, მისი მოსახლეობის შემადგენელმა განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენლებმა, არსებობა დამოუკიდებლად დაიწყეს. ეს იყო სირიის სამთავრო, პროტოსომხები (ურარტუელები ან ხაიელები) და პროტოქართველები (ქალდები ან ქართები). სადღაც ამ სირიულ სამთავროში დაიკარგა ეთნოსის დასაწყისი, რომელმაც ათასწლეულის შემდეგ არაბებისგან მიიღო სახელწოდება „ქურთები“. ამ დროიდან მოყოლებული, მესოპოტამიასა და მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ქურთების ქვეყანა - სპარსულად „ქურთისტანი“ ეწოდა.

მათ წარმოშობის შესახებ გამოითქმება სხვადასხვა ჰიპოთეზები, კერძოდ მიდიური და იაფეტური მარას ჰიპოთეზები. ვერსიას, თანამედროვე ქუთების წარმოშობის შესახებ, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში და ირანის პლატოზე ასევე ამყარებენ ანტიკური წყაროები. წყარო იძლევა ცნობებს ქურთების ტომებზე, რომლებიც ძველი დრიოდანვეა სახლობდნენ სპარსეთში. ქურთები ასევე სახლობდნენ სპარსეთისა და მიდიის ატროპატენის მთებში, ქურთისტანში, სომხეთში, კასპიისპირეთის მიდამოებში და ირანულ აზერბაიჯანში. ძირითადად დაკავებულნი იყვნენ მესაქონლეობით და ყაჩაღობით.

ქურთების სახელი გვხვდება შუა სპარსეთის წყაროებში, მაგრამ როგორც მკვლევარები აღნიშნავენ ეს მაშინ პირველ რიგში სოციაულ-ეკონომიკური ტერმინი იყო, რომელიც მომთაბარეს ნიშნავდა. ამის გამო ახალ დრომდე „ქურთის“ სახელწოდებით მოიხსენიებოდნენ ირანის ხალხები, რომლებიც სახლობდნენ ზაგროსის, ზედა მესოპოტამიისა და სომხეთის მთებში და მეტყველებდნენ სხვადასხვა დიალექტზე: ქურმანჯი, სორანი, ზაზაკი და გორანი. დღეს ქურთულ ენად მოიხსენიებენ ქურმანჯის.

ქურთები წარმოადგენდნენ მრავალრიცხოვანი და ხშირად სვადასხვაგვარი ტომების ერთობლიობას, რომლებსაც ეპონიმებს უწოდებდნენ. ტომობრივი კუთვნილება დღემდე ძალიან მნიშვნელოვანია ტრადიციული ქურთული საზოგადოების სოციალურ ურთიერთობებში. ქურთები იყოფიან ოთხად: ქურმანჯი, ლური, კელხური, გორანი. [1]

მათ შორის ლურებს, რომლებიც მეტყველებდნენ სამხრეთ-დასავლურ ირანულ დიალექტზე უკვე აღარ თვლიან ქურთებად. კელხური - შეადგენენ ძლიერ დიფირენცირებულ სამხრეთ-ქურთულ ერთობას, რომელიც გაერთიანებულია გორანთან. ქურმანჯი - ძირითადად თვითსახელია დანარჩენი უმრავლესობის, ცენტრალური და ჩრდილო ქურთებისა. თავისი არსით, ის ტერმინი „ქურთის“ ანალოგიურია მისი ძველი მნიშვნელობით და აღნიშნავს განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური წყობის მატარებელს, რომელიც ეფუძნება სამთო მესაქონლეობას. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ქურმანჯი“, როგორც წესი, აღნიშნავს მხოლოდ ჩრდილოეთის ქურთებს, მაგრამ, თვით სიტყვა ქურმანჯი, ქურთულიდან ითარგმნება როგორც „მიდიის ვაჟიშვილი“. მრავალი მეცნიერი თვლის, რომ ქურთები პირდაპირი მემკვიდრეები არიან მიდიელების.

[1] რ. გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი. ტ. 1. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018. 32-34გვ.

ქურთები ახლო აღმოსავლეთში სიდიდით მეოთხე ეთნიკური ჯგუფია საკუთარი კულტურითა და ენით, რომელიც რამდენიმე დიალექტს მოიცავს: ქურმანჯი, სორანი (სამხრეთის ქურმანჯი), სამხრეთ-ქურთული ენა, დეილემიტური ენები, გორანი და ავრომანი, ზაზაკი.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური მოხმარებისთვის სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად საუბარია ქურთულ ენაზე და მის დიალექტებზე, ურთიერთგაგება ძალიან გაძნელებულია ქურმანჯისა და სორანის შორისაც კი, რომლებიც ყველაზე ახლო ქურთული ენებია. ქურთების უმრავლესობა ბილინგვია და მეტყველებს იმ ქვეყნების ძირითად ენაზე სადაც ცხოვრობენ: თურქული, სპარსული, არაბული და სხვა.

ზაზა - მომთაბარე ტომების შთამომავლობაა, რომელებიც თავდაპირველად ცხოვრობდნენ თანამედროვე ირანის ჩრდილოეთით კასპიის ზღვის სანაპიროზე, საიდანაც მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული დაიწყეს მიგრაცია სომხეთის ტერიტორიაზე. ზაზამ მრავალი სომეხი გადაარჩინა გენოციდის დროს. ისინი ქურთების ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენენ, ამიტომ ზაზას გამოყოფა სხვა ქურთების რიგებიდან არასწორია.

ქურთების უმეტესობა სუნიტი მუსლიმია, თუმცა ასევე არიან სუნიტი მუსლიმები, შიიტები, იეზიდები და იუდეველები. ისინი ძირითადად თურქეთის, ერაყის, სირიის, ირანის და სომხეთის მთიან რეგიონებში ცხოვრობენ. ჯამში ამ რეგიონში 35-დან 40 მილიონამდე ქურთი მოსახლეა, მათი ნახევარი თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს.

ქურთულ მოსახლეობაში საინტერესო ფენომენია იეზიდები. ეს ეთნიკური ქურთების მცირერიცხოვანი რელიგიური განშტოებაა, რომლის მიმდევრები ძირითადად ჩრდილოეთ ერაყსა და თურქეთში ცხოვრობენ, შედარებით მცირერიცხოვანი თემები სომხეთში, საქართველოში, აგრეთვე ირანში, სირიასა და უკრაინაში. იეზიდთა დიდი ნაწილი ემიგრაციაშია ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში. მათი საერთო რაოდენობა სავარაუდოდ 1 მილიონია. ისინი მეტყველებენ

ქურთული ენის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დიალექტზე — კურმანჯიზე. ისინი იეზიდიზმის მიმდევრები არიან, რომელიც სინკრეტული მონოთეისტური რელიგიაა, ენათესავება ზოროასტრიზმს, იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის ელემენტებით. იეზიდები ერთ ღმერთს აღიარებენ და თაყვანს სცემენ მთავარანგელოზ მალაქ-ტაუსს, რომელიც ფარშევანგის სახით ჰყავთ წარმოდგენილი. იეზიდების ერთადერთი საკულტო ნაგებობაა შეიხ ადის ტაძარი (ლალეში (ერაყი), სადაც მათი წინასწარმეტყველის საფლავია). იეზიდები რეალურად ქურთები არიან, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი რომ თავად ქურთები არ თვლიან იეზიდებს ქურთებად.[2]

ქურთისტანს უწოდებენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის შიდა ნაწილში მდებარე მთიან მხარე, რომელიც 350 ათას კვადრატულ კილომეტრამდეა გადაჭიმული. აღმოსავლეთიდან ურმიის ტბა (ირანი), სამხრეთიდან ალ-ჯაზირა (სირია და ერაყი) და მარდინის დაბალმთიანეთი (თურქეთი), დასავლეთიდან აღმოსავლეთ ტავროსის ქედი (თურქეთი) ემიჯნება. ერთი და იგივე ტერიტორიას სხვადასხვა ისტორიულ წყაროში ხან „არმენიას“ უწოდებენ, სან „თურქომანიას“, ხან კი „ქურთისტანს“. მთიან მხარეში უძველესი დროიდან მოსახლე ქურთები, რომლებმაც ადრე მიიღეს ისლამი, XX საუკუნის მეორე დეკადამდე ოსმალეთის იმპერიის ერზერუმი, ვანის, ბითლისის, ერზინჯანის, ვილაიეთებში შერეულად ცხოვრობდნენ ქრისტიან სომხებთან და ასირიელებთან, იეზიდ ქურთებთან და მუსლიმ თურქებთან ერთად. ოსმალეთის მთავრობის მიერ 1915 -1918 წლებში განხორციელებული სომხების, ასევე ასირიელების და იეზიდი ქურთების ეთნიკური წმენდის შემდეგ, მუსლიმმა ქურთებმა ფარდობითი უმრავლესობა შეადგინეს ანატოლიაში. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში კი ისინი აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ.

[2] რ. გაჩეჩილაძე. „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011 (მესამე გამოცემა). 47-49გვ.

მეტიც, ირანის დასავლეთ პროვინციებსა და ჩრდილოეთ ერაყშიც მოსახლეობის უმრავლესობა ქურთია.

იმის მიუხედავად, რომ ქურთები ხშირად ისტორიულ ქრონიკებში მოხსენიებულნი არიან, ხოლო „ქურთისტანი“ მდგრადი გეოგრაფიული ტერმინია, ქურთებს არასდროს შეუქმნიათ უმაღლესი დონის პოლიტიკური ერთეული, სახელმწიფოს სახით. ქურთების წრიდან გამოდიოდნენ ცნობილი პოლიტიკური ლიდერები. წარმოშობით ქურთი იყო ჯვაროსნებისაგან იერუსალიმის განმათავისუფლებელი, მუსლიმებისთვის საამაყო, სახელგანთქმული მხედართმთავარი სალადინი (სალაჰ ად-დინი). მან ეგვიპტესა და დასავლეთ აზიაში სამეფო დინასტიაც შექმნა (აიუნიანები, მაგრამ მას არ შეუქმნია „ქურთული სახელმწიფო“. ქურთისტანის გარშემო სულ არსებობდა ურთიერთდაპირისპირებული ძლიერი იმპერიები ესენი იყვნენ: ბიზანტია-ირანი, ბიზანტია-სახალიფო, რომი-პართია, ოსმალეთი-სპარსეთი, რომლებიც ქურთისტანის ტერიტორიაზეც უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს და ხშირად ქურთ მეომრებსაც იყენებდნე საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად. რა საკვირველია არც ერთ იმპერიას არ აწყობდა ახალი სახელმწიფოს წარმოშობა. [3]

XX საუკუნეში რამდენიმე მცდელობა იყო იმისა, რომ სხვადასხვა ტერიტორიაზე შეექმნათ ქართული „რესპუბლიკები“ და „სამეფოები“, მაგრამ ყველა ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, რადგან არაერთიანობა ყველა ნაბიჯზე იგრძნობოდა. 180 ტომიდან ბელადებს შეეძლოთ ერთმანეთის ჯიბრზე ხან ერთი მოსისხლე მტრისთვის დაეჭირათ მხარი, დამდგარიყვნენ ხან ირანის, ხან ერაყის, ხანაც თურქეთის ოფიციალური ხელისუფლების მხარეს და მეტოქე ქურთული ტომის დასამარცხებისთვის ხელი შეეწყოთ, აგრეთვე ისინი ხშირად იცვლიდნენ პოლიტიკურ ორიენტაციას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ირან-ერაყის ომი, რომლის დროსაც ირანის მხარეს იდგა ჯალალ ტალაბანის „ქურთისტანის პატრიოტული

[3] D. Mcdowall. „A Modern History of the Kurds“. 2004 y. 34-35p.

კავშირი“, რომელიც ერაყშივე მოქმედი „ქურთული დემოკრატიული პარტიის“ წინააღმდეგ იბრძოდა. ამ უკნასკნელს ხელმღვანელობდა მასუდ ბარზანი, რომელიც, თავის მხრივ, პერიოდულად თურქეთთან თანამშრომლობდა. შეიხები რელიგიურ საფუძველზე რაზმავდნენ ტომებს და თავს ხალიფას სულთნის, შაჰის ნომინალურ ვასალად აცხადებდნენ.

ბოლო პერიოდის ურბანიზაცია, ქურთული ინტელიგენციის წარმოქმნა, რომელიც დასავლეთში განათლებამიღებულ საკმაოდ მრავალ პირს მოიცავს, უკეთეს პირობას ქმნის ერთიანი ეროვნული თვითშეგნებისა და ეთნონაციონალიზმის განვითარებისათვის, რაც შეიხების აქამდე ურყევი ავტორიტეტის შესუსტებასაც მოასწავებს. ქურთებისათვის ყველაზე სერიოზული პრობლემაა მათი დანაწილება რამდენიმე ქვეყანაში. პირველ მსოფლიო ომამდე ქურთები ორ სახელმწიფოში, ოსმალეთსა და სპარსეთში იყვნენ დასახლებულნი, ომის შემდეგ კი ისინი ახლო აღმოსავლეთის ოთხ სახელმწიფოში – ირანში, თურქეთში, ერაყსა და სირიაში – განაწილდნენ. ამ სახელმწიფოებს არ უნდათ და ვერც უშვებენ ქურთული სახელმწიფოს შექმნას, სხვა სახელმწიფოს ხარჯზეც კი. XX საუკუნეში ქურთები ბევრჯერ მოექცნენ მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრში. ასე იყო XX საუკუნის დამდეგსაც, როდესაც ამერიკის სამხედრო სარდლობამ ერაყში ომისათვის მზადებისას საჭიროდ მიიჩნია ჰყოლოდა შიდა მოკავშირე ერაყში. ამ თვალსაზრისით ამერიკის ბუნებრივ მოკავშირედ სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ მოსჩანდა ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრები ქურთული უმცირესობა, რომელიც მუდმივად იჩაგრებოდა ბაღდადის მიერ და ჰქონდა სერიოზული საბაბი, ძალიან უარყოფითად ყოფილიყო განწყობილი მმართველი რეჟიმის მიმართ, შესაბამისად კი – ყველაზე პროამერიკული ყოფილიყო ერაყის ეთნო-რელიგიურ თემებს შორის. მაგრამ ქურთების მოკავშირეობა ამერიკასთან არ აღმოჩნდა ისეთი მარტივი საქმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. ასეთი მოკავშირეობის პირობები მხოლოდ ორი მხარის გადასაწყვეტი არ ყოფილა. ძალიან აქტიურად ჩაერთო ამ საკითხში ამერიკის ერთ-

ერთი ყველაზე ძველი მოკავშირე რეგიონში – თურქეთის რესპუბლიკა, რომლისთვისაც "ქურთების პრობლემა" ძალიან მტკივნეული საკითხია.[4]

1.2. ქურთული სახელმწიფოს წარმონაქმნის ჩამოყალიბება - „აიუბიანთა სამეფო"

„აიუბიანთა სამეფო" - ეს იყო მსოფლიო ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა როდესაც ქურთული სახელმწიფო შეიქმნა. მისი დამაარსებელი იყო სალაჰ ად-დინ იუსუფ იბნ აიუბი, ევროპაში ცნობილი როგორც სალადინი. წარმოშობით ქურთი სულთანი დაიბადა ერაყის ქალაქ თიქრითში საიდანაც მისი ოჯახი გააძევეს მოსულში. 1164–1169 წლებში მონაწილეობდა მოსულის მმართველების — ზენგიდების — ლაშქრობაში ეგვიპტეში. 1169 წელს დაინიშნა ეგვიპტის ვეზირად, ხოლო 1171 წელს ფატიმიდების დამხობის შედეგად ხელთ იგდო ერთპიროვნული ძალაუფლება და სულთნის ტიტული მიიღო. ამ დროიდან იწყება ეგვიპტეში მისი სახელობის ფულის მოჭრაც. 1174–1176 წლების დამპყრობლური ომების შედეგად შეიერთა სირია, შუამდინარეთი, იემენი და შექმნა ვრცელი იმპერია, რომელიც წინ აღუდგა ჯვაროსნულ ლაშქრობებს. 1187 წლის 3-4 ივლისს სალადინის ჯარებმა დაამარცხეს ჯვაროსნები სოფელ ჰატინთან (პალესტინა); იმავე წლის 2 ოქტომბერს აიღეს იერუსალიმი და ევროპელები განდევნეს სირიისა და პალესტინის დიდი ნაწილიდან. 1191 წელს სალადინი დაუპირისპირდა ინგლისის მეფის რიჩარდ ლომგულის ახალ ლაშქრობას; სალადინი დამარცხდა, მაგრამ რიჩარდმა იერუსალიმის აღება ვერ შეძლო. ორი მონარქის ურთიერთობა, რომელიც საბრძოლო დაპირისპირების გარდა რაინდულ ურთიერთპატივისცემაზე იყო აგებული, აირეკლა იმდროინდელ ევროპულ რომანსებში. საბოლოოდ, 1192 წელს ზავმა პალესტინაში მუსლიმანებსა და

[4] М. С. Лазарева и Ш. Х. Мгои. „История Курдистана, курдских исследований". 1999г. ст.56-59.

ქრისტიანებს შორის დროებით სიმშვიდე ჩამოაგდო. სალადინი გარდაიცვალა დამასკოში, 1193 წლის 4 მარტს.

სალადინის პოლიტიკის ძირითადი მიმართულება იყო სუნიზმის გავრცელება, სამხედრო მანქანის განუხრელი ზრდა და „საღმრთო ომი“ — ჯიჰადი. ამასთანავე, სალადინს პატივს სცემდნენ როგორც ნიჭიერ მხედართმთავარს და ღირსეულ მებრძოლს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ მის მიერ შექმნილი აიუბიდების დინასტია (1171-1250) ითვლება ერთადერთ სახელმწიფოდ რომელიც ქურთებმა შექმნეს. სახელი ეწოდა სალაჰ-ად-დინის მამის აიუბ იბნ შადის სახელის მიხედვით. აიუბიდების დინასტიის სხვადასხვა შტო მართავდა ეგვიპტეს (1171-1250 წწ.), დამასკს (1186-1260 წწ.), ჰალაბს (1186-1260 წწ.), ჰამს (1178-1341 წწ.), ჰომსს (1178-1262 წწ.), მესოპოტამიას (1200-1245 წწ.) და სამხრეთ არაბეთს (1173-1228 წწ.).

ევროპული არმიები პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობებში გამარჯვების და იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ მეზობელი მუსლიმების შემოტევებს უძლებდნენ. აიუბიანთა ეგვიპტე ყველაზე ახლოს იყო, რომელიც ყოველ წელს უტევდა ფრანკთა სამფლობელოებს, ავიწროებდა და ნელ ნელა ართმევდა მიწებს. ევროპელების სასიკეთოდ ეგვიპტეს ჰყავდა მშვილდოსნების უდიდესი ქვეითი ნაწილი, ასევე არაბთა მსუბუქი კავალერია და თურქ-სელჩუკთა მხედარი მშვილდოსნები. მათ არ ჰყავდათ მძიმედ აღჭურვილი ცხენოსნები, შესაბამისად მათ არ შესწევდათ წინააღმდეგობის გაწევის ძალა და ზოგჯერ ეს ევროპელებისთვის სწრაფი გამარჯვების მომტანიც იყო ერთი შეტევის შემდეგ. [5]

1177 წელს იერუსალიმის სამეფოს ორი მთავარი პრობლემა დაუდგა წინ: ერთი შიდა, მეორე გარე. შიდა საკითხი წარმოადგენდა არსებული 16 წლის კეთროვანი მეფის ბალდუინ IV-ს ჩანაცვლებას, რომელსაც არ ძალუძდა მემკვიდრის დატოვება

[5] გ. ჯაფარიძე. „საქართველო-მახლობელი აღმოსავლეთის ურთიერთობების ისტორია საქართველოს ისტორია“. XII-XIII ს.ს. 1995 წ. 74-76გვ.

და მეტიც მისი სიცოცხლის ხანგრძლივობაც კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. ერთი ვერსია, იყო მისი ორსული დის, რომელიც დაქვრივდა (სიბილა) შვილი. სიტუაცია გაართულა ფილიპე ელზასელის მოსვლამ. ის მეფე ბალდუინის უახლოესი ნათესავი იყო. ბალდუინმა კავშირი შეკრა ბიზანტიის იმპერიასთან, რათა ერთობლივად შეეტიათ ეგვიპტისთვის როგორც ხმელეთით ისე ზღვით. სანამ ბალდუინი და ფილიპე ეგვიპტეში გასვლას გეგმავდნენ, აიუბიანთა ეგვიპტის სულთანმა-სალადინმა იერუსალიმზე შეტევა განიზრახა ეგვიპტური ბაზიდან. მას საკმაოდ ეფექტური სადაზვერვო ქსელი ჰქონდა და იცოდა დომენზე თავდასხმის გეგმის შესახებ. სალადინი 26 000 კაციანი არმიით პალესტინისკენ დაიძრა, მაგრამ მას შესაბაისი სამხედრო რესურსები აკლდა, ბალდუინმა თავიდან ყველა ქრისტიანი გამოიძახა არმიაში, რომლებიც ვალდებულები იყვნენ დროშა დაეცვათ. იერუსალიმის დაკავების შემდეგ პირველი ბრძოლა გაიმართა ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის. ბალდუინი დაავადებული და დასუსტებული ახალგაზრდა იყო და არმიის მეთაურობა უბოძა რეინოლდ შატილონელს, რომელიც სალადინის დაუძინებელი მტერი იყო. ბალდუინი თავის არმიასთან ერთად ასკელონთან გამოჩნდა და მის კედლებში მოექცა. სალადინის რაზმი მალევე შემოერტყა გარს ქრისტიანებს. ბალდუინთან ერთად იყო ბეთლემის ეპისკოპოსიც, რომელიც ძელიცხოველის ნაწილს ატარებდა. მეფემ მოახერხა და ღაზას მცველ ტამპლიერ რაინდებს ხმა მიაწვდინა. მათ მოუწოდა ქალაქის დატოვებისაკენ და ასკელონთან მისი ძალების შეერთებისთვის.

ჯვაროსნებს ამ მომენტისთვის დაახლოებით 450-460 მძიმედ აღჭურვილი რაინდი ჰყავდათ და მათ შორის ბალდუინის მოწოდებით მოსული 80 ტამპლიერი რაინდი იყო. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თანაბარი რაოდენობის მხედარი და სკვაირი იყო წარმოდგენილი. სალადინის ეგვიპტური არმიის გამოკვლევა ძალიან რთული აღმოჩნდა, რადგან მხოლოდ ქრისტიანი ავტორის მიერ მოწოდებული ზუსტი რიცხვი გვაქვს. თუმცა ის არმიას არ შლის. სულ მცირე სალადინის არმიის 2/3 მხედრებისგან შედგებოდა, შესაძლებელია ნახევარი მძიმე კავალერიის (მამლუქების,

კარგად გაწვრთნილი და დისციპლინირებული მონების ნაწილების) და დანარჩენი მსუბუქი მშვილდოსანი კავალერიისგან იყო დაკომპლექტებული. დარჩენილი მესამედი აიუბიანთა არმიისა შედგებოდა ქვეითი შუბოსნბის, ხმლით შეიარაღებულებისა და მშვილდოსნებისგან. სალადინის პირადი დაცვა მამლუქთა მხედრობისგან შედგებოდა. მათ ეცვათ ყვითელი ტუნიკები და მოიცავდნენ 1 000 უძიერეს მეომარს. [6]

სალადინს იმის სჯეროდა, რომ ბალდუინისა და მისი არმიის ქალაქში შესვლის და ბლოკირების შემდეგ კამპანიის დასრულება დროის საკითხი იყო. შესაბამისად ეგვიპტის სულთანმა სერიოზული შეცდომა დაუშვა მტკიცე დისციპლინის შერყევით, რომელსაც საკუთარ არმიაზე ცდიდა, რაც გამოიხატებოდა მხედართა პოლკების მიერ ქალაქგარე ტერიტორიების რბევით და ძარცვით. მათ შეუტიეს რამლას, ლიდასა და არსუფს და გაძარცვეს ისინი. მოაგროვეს საკვები, ცხვრები და ცხედები, მაგრამ ჯვაროსანთა ძალებმა ასკელონი რამდენიმე დღით ადრე დატოვეს და თავიდან აიცილეს მცირე მოალყე ჯართან შეხვედრა. ისინი აიუბიანთა არმიას გამოედევნენ და იმ ხაზს მიჰყვებოდნენ, რომელზეც გავლილი მოწინააღმდეგე ნგრევის კვალს ტოვებდა. საბოლოოდ კი ქალაქ რამლას მიდამოებში, სადაც დღსდღეისობით სოფელი თელ ალ-საფი მდებარეობს, ჯვაროსანმა მზვერავებმა ეგვიპტური არმიის მოზრდილი ნაშთი შენიშნეს, რომელიც თავად სალადინი და მისი პირადი დაცვაც შედიოდა. მუსლიმთა ნაწილები ფართოდ იყვნენ მიმოფანტულნი და დიდი დრო სჭირდებოდათ შესაერთებლად. ჯვაროსნების მოახლოებამ საკმარისად გააფრთხილა სალადინი და მან საჯარისო შენაერთების ნაწილი უკან გამოიხმო. მან

[6] მონჟისარის ბრძოლა (1177): იერუსალიმის კეთროვანი მეფე სალადინს ამარცხებს. გვ.1. https://davidblogspace.wordpress.com/2017/11/28/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9F%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90-1177-%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 24.12.2019)

ასევე წესრიგში მოიყვანა დივიზიის ცენტრი, ხოლო მარჯვენა და მარცხენა ფლანგის მხედრები ცენტრის ოდნავ წინ განალაგა. მეფე სალადინმა მოაწყო საბრძოლო ფორმაცია და ბეთლემის ეპისკოპოსს ძელიცხოველის ნაწილის მოტანა დაავალა. მეფემ უწმინდესი რელიქვიის წინ დაიჩოქა და გამარჯვებისთვის ილოცა. არმია აღტაცებით შეხვდა ამ ფაქტს და მათი ლიდერის მსგავსად ცხენებზე ამხედრდა.

ჩრდილოეთიდან აიუბიანთა არმიაზე შემტევ ჯვაროსანთა არმიას მეფე ბალდუინი თვითონ მეთაურობდა, რომელსაც მახვილი მარცხენა ხელში ეჭირა, რადგან კეთრის პირველი სიმპტომები მას მარჯვნა ხელში აღმოაჩნდა, რომელიც დროთა განმავლობაში მონარქისთვის სრულიად გამოუსადეგარი გახდა. მას გვერდით ედგნენ ყველაზე მძიმედ აღჭურვილი რაინდები, რომლებიც მფრინავი სოლის მსგავსი ფორმაციით იყვნენ განლაგებულნი. ისინი ნაჩქარევად შეკრებილ მუსლიმთა არმიის რიგებში შეიჭრნენ. მიუხედავად მისი ახალგაზრდული ასაკისა და მდგომარეობისა მეფე ბალდუინი ბრძოლის ცენტრში მოექცა. ფრანკთა არმიის დარჩენილი ნაწილი ჩქარობდა, რათა გააფთრებული რაინდებისთვის მიესწროთ.

ფრანკი რაინდების პირველი დარტყმა ქარბუქივით იყო, რადგან მათ გაანადგურეს აიუბიანთა ფორმაცია და შემოჭრილი არმია მორალურად გატეხეს. სალადინის პირადი დაცვა მამაცურად იბრძოდა და მეთაურს კარგად იცავდა, მაგრამ ეგვიპტის სულთანი არაერთხელ იყო ახლოს სიკვდილთან თუ ტყვედ ჩავარდნასთან. მამლუქთა გმირობის გარეშე, სალადინის დაღუპვა სავარაუდოდ გარდაუვალი იქნებოდა. დიდი ძალისხმევის მიუხედავად სალადინი ეგვიპტის საზღვრისკენ გაიქცა. როდესაც მისმა არმიამ დაინახა, რომ სულთანი ბრძოლის ველს ტოვებდა ბევრმა მათგანმა მას მიბაძა. დარჩენილმა ნაწილმა კი ფრანკებთან ბრძოლა განაგრძო იმ იმედით, რომ უკან დასახევი გზის გაკაფვას შეძლებდნენ. ნაშუადღევს ეგვიპტის არმიის დამაკავშირებელი უკანასკნელი ნასახიც კი გაქრა. ზოგი სულთანს გაჰყვა, ზოგის დევნა კი ჯვაროსნებმა დაბინდებამდე განაგრძეს. მონჟისარის ბრძოლა დასრულდა.

როგორც შუა საუკუნეების სხვა ბრძოლების, ასევე ამ დაპირისპირების დანაკარგებიც ორივე მხარეს ბუნდოვნადაა დაანგარიშებული. ისტორიკოსების გადმოცემით, ეგვიპტეში სალადინის არმიის მხოლოს 10 პროცენტი დაბრუნდა. მას ეგვიპტეში უსაფრთხოდ დასაბრუნებლად 10 დღე დასჭირდა. მისი არმიის ნარჩენებს მთელ სინაის უდაბნოში ავიწტოებდნენ, რომლებიც გარდა ამისა ათდღიანი წყალდიდობისგან იტანჯებოდნენ.

ერთ-ერთი სარაინდო ორდენის მეთაურის გადმოცემით, 1100 წელს ბრძოლაში დაიღუპნენ ჯვაროსანი მეომრები, ხოლო 750 დაიჭრა. თუ ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება, ფრანკთა არმიის დაახლოებით 30-35 პროცენტი მოშლილი იყო. ბოლოს და ბოლოს, იერუსალიმის სამეფომ პიროსული გამარჯვება მოიპოვა. მათ სჭირდებოდათ დასავლელ მოგზაურთა საიმედო ნაკადი პალესტინისკენ, რათა განეგრძოთ აქ არსებული სხვადასხვა ქრისტიანული სამეფოს დაცვა. [7]

დინასტიურმა განხეთქილებებმა და მამლუქების გაძლიერებამ აიუბიდები დაასუსტა. საბოლოოდ მათ შეთქმულმა ეგვიპტელმა მამლუქებმა მოუღეს ბოლო 1250 წელს. ასეთი ხანმოკლე აღმოჩნდა პირველი და უკანასკნელი ქურთული სახელმწიფოს არსებობა დედამიწაზე, თუმცა 79 წლიანი არსებობის მანძილზე საკმაოდ დიდი და ნათელი კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში.

1.3. ოსმალეთის და სპარსეთის იმპერიების დაპირისპირება ქურთისტანის გარშემო

[7] ქურთისტანი: გზა რეფერენდუმიდან დამოუკიდებლობამდე. გვ.1. http://www.tabula.ge/ge/story/122459-qurtistani-gza-referendumidan-damoukideblobamde (უკანასკნელად გადამოწმებულია 24.12.2019)

ქურთისტანი - ეთნოგეოგრაფიული რეგიონი ევრაზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომლის ფარგლებში ქურთები მოსახლეობის აბსოლუტურ ან შედარებით უმრავლესობას წარმოადგენენ. ტერმინი პირველად აღნიშნულია XII საუკუნეში ამჟამინდელი ირანის ქურთისტანის ნაწილში. მისი საერთო ფართობი დაახლოებით შეადგენს 450 ათას კვ. კმ-ს. და ტერიტორიულად დაყოფილია თურქეთს, ირანს, ერაყსა და სირიას შორის. მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ხშირად იყო სხვადასხვა იმპერიებს შორის დაპირისპირების ეპიცენტრი. არც ოსლმალეთის და სპარსეთის იმპერიები იყო ამ მხრივ გამონაკლისი.

მე-16 საუკუნიდან მოყოლებული ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერია არაერთხელ დაუპირისპირდა ერთმანეთს.

1501 წელს 14 წლის ისმაილ I-მა დააარსა ახალი შიიტურ-ისლამური სახელმწიფო — სეფიანთა იმპერია, რომელმაც 1510 წლისათვის მთლიანი ირანის, სომხეთის, ავღანეთისა და თურქმენეთის უდიდესი ნაწილის, ერაყისა და ანატოლიის რამდენიმე ბეილიქის დაპყრობა მოახერხა. 1512 წელს ოსმალეთის ტახტზე ასულმა სულთანმა, სელიმ I-მა მმართველობის პირველი წელი ძმებთან ბრძოლასა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას მოანდომა. 1513 წელს, საბჭოს სხდომაზე მან შიიტები ურჯულოებად მოიხსენია და სეფიანთა ირანს ომი გამოუცხადა. ომის წინ სულთანმა უსასტიკეს ხერხს მიმართა. მან იმის შიშით, რომ ანატოლიელი შიიტი მუსლიმები კონფლიქტის შემთხვევაში მტრის მხარეს გადავიდოდნენ, ოსმალეთისა და ირანის საზღვარზე მცხოვრები შიიტები სიკვდილით დასაჯა. ბრძანებულება შეეხო 7-დან 70 წლამდე ასაკის ყველა ადამიანს, განურჩევლად სქესისა.

სეფიანების სახელმწიფო და ოსმალეთი იმ დროის აღმოსავლეთის ორი უდიდესი ფეოდალური მონარქია იყო. ორივე დაჟინებით ცდილობდა მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებას. სულთნის ამგვარი ქმედება ისმაილ I-მა გამოწვევად მიიღო, 30,000 მეომარით შეიჭრა ანატოლიაში და რამდენიმე ციხე-სიმაგრე დაიკავა.

სულთანმა 1514 წლის აპრილის თვეში სტამბოლიდან 10 000 ჯარისკაცი დაძრა, რომლებმაც ორ თვეში მიაღწიეს არზრუმამდე და რამდენიმე შეტაკების შემდეგ სპარსელებს უკან დაახევინეს. ამის შემდეგ გადაინაცვლეს სამხრეთით, აიღეს ქურთისტანი და მიასგნენ ირანის ჩრდილოეთ ნაწილს. ისმაილ I -მა უკან დაიხია და გზად არსებული სოფლები და დასახლებები გადაწვა. ოსმალები ჩალდირანის ველზე დაბანაკდნენ. სელიმ I-მა შაჰი მასშტაბური ომის მაგივრად გენერალურ ბრძოლაში გამოიწვია, რაზეთ თანხმობა მიიღო. [8]

1514 წლის 23 აგვისტოს ოსმალეთის არმია სპარსელებს დაუპირისპირდა. თურქთა ლაშქარი 80 000 დან 100 000 მეომრამდე მერყეობდა, ხოლო ისმაილ I-ის არმია 55 000-80 000 ჯარისკაცისაგან შედგებოდა. ბრძოლა ოსმალების გამარჯვებით დასრულდა. სპარსელებს დაეღუპათ 5 000 მებრძოლი და გაუნადგურდათ ზარბაზნებით უმეტესი ნაწილი. დაკარგენს სომხეთს დიდი ნაწილი, ქურთისტანი და აზერბაიჯაბის პროვინციების ნაწილი, თავრიზი ოსმალებმა გადაწვეს და დაარბიეს. ახალგაზრდა სეფიანთა სახელმწიფოსთვის მძიმე დარტყმა იყო განცდილი მარცხი და იმპერია ქაოსმა მოიცვა. ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხორასანის პროვინცია შუააზიელმა უზბეკმა ხანებმა დაიკავეს. მეზობელი ოლქის, ფერგანის ხანი კი-ყანდაჰარის უტევდა. 6 სექტემბერს ოსმალები დედაქალაქ თავრიზში შევიდნენ, დაარბიეს, გაძარცვეს და მოსახლეობის დიდი ნაწილი დახოცეს. სელიმმა გარნიზონები ჩააყენა დაპყრობილ ტერიტორიებზე და მახარებელი წერილები გაუგზავნა უზბეკ ხანებს, მის ვაჟს, სულეიმან I-და ეგვიპტის სულთანს.

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, სელიმმა ვერ შეძლო აზერბაიჯანში გამაგრება და უკან გაბრუნდა. ეს ბრძოლა 1515 წლამდე დროგამოშვებით გრძელდებოდა. 1515 წ. დროებითი ზავით ოსმალეთმა მიიღო სომხეთის დასავლეთი ნაწილი, ქ. ერზერუმი და მესოპოტამიის ჩრდილოეთი მხარე ქ. მოსულით. ოსმალეთთან ომში დამარცხებული

[8] ცნობილი ადამიანები - შაჰ აბას I. გვ.1. https://www.gfsis.org/files/my-world/13/06.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 24.01.2019)

ისმაილ I შეეცადა შეექმნა ანტითურქული კოალიცია. 1515 წელს მართლაც შეიკრა კავშირი, რომელშიაც შევიდნენ ეგვიპტის სულთანი, ალბისტანისა და მარაშის (ევფრატზე) მფლობელი ალა-ად-დოვლე და სამცხე-საათაბაგოს მთავარი ათაბაგი ყვარყვარე III (1515-1535 წწ.). მოკავშირეები შეთანხმდნენ დახმარებოდნენ ერთმანეთს, თუ ერთ-ერთ მათგანს თავს დაესხმოდა სულთანი. მაგრამ აღნიშნული კოალიცია ეფექტური ვერ აღმოჩნდა. 1516-1517 წლებში სელიმ I-მა დაიპყრო ალბისტანი და მარაში, დაამარცხა ეგვიპტის მამლუქი სულთანი, სირია, პალესტინა, ეგვიპტე და ჰიჯაზი სელიმს დამორჩილდა. ამ ყველაფრის შემდეგ ოსმალებმა წინსვლა დაიწყეს აზიაში და 1517 წელს დაასრულეს მამლუქების იმპერიის ბატონობა ახლო აღმოსავლეთსა და ეგვიპტეში, რის შედეგადაც ავტორიტეტი მოიპოვეს ისლამურ სამყაროში. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად შაჰი ეძებდა გამოსავალს, რომ ოსმალებისთვის სამაგიერო გადაეხადა და აღედგინა საკუთარი ავტორიტეტი მისსავე შექმნილ იმპერიაში, მაგრამ ეს ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა. ის აზიელ და ევროპელ მონარქებს ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციის შესაქმნელად წერილებს წერდა. საბოლოოდ კი შეთანხმება შედგა ეგვიპტის სულთანთან. გადაწყდა, რომ ოსმალთაგან თავდასხმის შემთხვევაში ერთმანეთს დახმარებოდნენ და შეთანხმებულად ემოქმედათ. ოსმალეთთან მეორე ომი უკვე მომწიფდა. ისმაილმა 1518-1522 წლებში სამჯერ ილაშქრა აღმოსავლეთ საქართველოში. 1518 წლიდან ქართლისა და კახეთის მეფეები და სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III სეფიანების ვასალები გახდნენ. 1522 წელს ისმაილმა თბილისი აიღო, გაძარცვა და ნარიყალას ციხეში ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენა და 15 000 ქართველი ტყვედ წაიყვანა ირანში. იმავე წელს შექმნა ჰაბსბურგ-სეფიანთა ალიანსი ოსმალთა წინააღმდეგ, თუმცა ისმაილის გარდაცვალების შემდეგ ალიანსი დაირღვა და ირანი მოკავშირის გარეშე დარჩა.

ამ ბრძოლის შედეგად ოსმალეთმა დაასრულა სომხეთის დაპყრობა და დაიპყრო ქურთისტანი. სელიმმა მიითვისა ხალიფას წოდება, რამაც ოსმალეთის

სულთნების ავტორიტეტი მნიშვნელოვნად აამაღლა მუსლიმანურ სამყაროში. სელიმის ამ დაპყრობების პირდაპირი შედეგი იყო ოსმალეთის ფლოტი გაძლიერება და მის მიერ წითელ ზღვაზე კონტროლის დამყარება. ამის შემდეგ დაიწყო პორტუგალიის იმპერიასა და ოსმალეთს შორის რეგიონში გაბატონებისთვის ბრძოლა. სელიმ I-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე სულეიმან I ავიდა. [9]

მართალია ჩალდირანის ბრძოლა არ იყო მასშტაბური თუმცა ეს იყო დასაწყისი 200 წლიანი სისხლისმღვრელი ეპოქისა, რომელიც ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიებს შორის მიმდინარეობდა. ამ ორასი წლის განმავლობაში ქურთისტანი ერთერთი ეპიცენტრი იყო, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა უამრავი ბრძოლა დარბევა.

ოსმალები წარმატებით განაგრძობდნენ საომარ მოქმედებებს. 80-იანი წლების მეორე ნახევარში ისინი თითქმის მთელ ამიერკავკასიას დაეუფლნენ. შექმნილ მდგომარეობაში ირანს არ შეეძლო მათთვის წინააღმდეგობის გაწევა და ომში ჩაბმა. ამიტომ შაჰ-აბას I -მა გადაწყვიტა ოსმალეთს დაზავებოდა 1588 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის წინასწარი დაზავება მოხდა. იმავე წელს სიმონიც დაეზავა ოსმალებს და მას ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიური ხარკის გადახდა მოუწევდა. ოსმალეთი ცნობდა სიმონს ქრისტიანობით, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და არ ჩაერეოდა მის შინაურ საქმეებში. შაჰ-აბასი იძულებული გახდა 1590 წლის 14 მარტს სტამბოლში დადებული ზავით საქართველო, აღმოსავლეთ სომხეთი, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი, ქურთისტანი და ლურისტანი ნაწილი ოსმალეთის სამფლობელოდ ეცნო. ამ ზავით დამთავრდა ირან-ოსმალეთის მეორე ომი რომელიც 11 წელს, თვეს და დღეს გრძელდებოდა.

XVII საუკუნის ირანში სულ ოთხი ვალი (ქურთისტანის, არაბისტანის, ლურისტანის, გურჯისტანის) იყო, რომლებიც ადგილობრივ მემკვიდრე დინასტიებს ეკუთვნოდნენ და ბეგლარბეგთან, ხანებთან და ირანის სხვა მოხელეებთან შედარებით

[9] გ. ჯამბურია. ირან-ოსმალეთის ახალი ომი, ქართლ-კახეთის სამეფოები. “სინ” ტ. IV. 1973 წ. 35-38გვ.

მეტი 134 დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ქართლის ვალი როსტომი ირანის სხვა ვასალებისგან განსხვავდებოდა თავისი უფლება-მოსილებით.

XVII საუკუნის 20 იანი წლების დასაწყისიდან მახლობელ აღმოსავლეთში ირანის პოზიციები სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა. 1623 წელს შაჰმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი განაახლა. ირანელებმა კი 1624 წელს მთელი ერაყი და ქურთისტანის ნაწილი დაიკავეს. ამის შემდეგ ერევნის მმართველმა ამარგუნე ხანმა შაჰის ბრძანებით სამცხეში გაილაშქრა და ახალციხე ოსმალებს ხელიდან გამოგლიჯა. ამ დროს შაჰ-აბასის იმპერიამ ძლიერების ზენიტს მიაღწია.

მიუხედავად ირან-ოსმალეთს შორის გამართული ომებისა და ამ ომების შემდეგ დადებული ზავებისა ერაყის ქურთისტანი კვლავ სადავო ტერიტორია იყო, რომელსაც ხან ერთი მიითვისებდა, ხანაც კი მეორე. [10]

[10] L. Elton. „The History of Iran“. 2012 y. p 86.

თავი I I

პირველი მსოფლიო ომი და ქურთების პრობლემის გააქტიურება

2.1. ქურთული სახელმწიფოს საკითხი საიქს-პიკოსა და სევრის ხელშეკრულებებში.

1916 წელს, დიდი ბრიტანელმა დიპლომატმა სერ მარკ საიქსმა და საფრანგეთის კონსულმა ბეირუთში, ფრანსუა ჟორჟ-პიკომ, თავიანთი თავიანთი მთავრობების სახელით დადეს საიდუმლო გარიგება რომელიც საიქს-პიკოს სახელით არის ცნობილი („Sykes-Picot“). ეს გარიგება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში გავლენის და შესაბამისად, ოსმალეთის იმპერიის მიწების გადანაწილების პროექტს შეადგენს. აღნიშნულ ხელშეკრულებას გაეცნო და შემდგომში შეუერთდა რუსეთიც. ამ მოლაპარაკებებში რუსეთის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრი- სერგეი საზანოვი მონაწილეობდა. ამ შეთანხმების მიხედვით, საფრანგეთი ისაკუთრებდა ლიბანს, სირიის სანაპირო რაიონებსა და დღევანდელი

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთს, ხოლო შიდა სირია და ამჟამინდელი ჩრდილოეთ ერაყი ფრანგული გავლენის ქვეშ უნდა მოქცეულიყო. მას შემდეგ, რაც 1918 წელს რუსეთი დროებით გამოეთიშა ამ გეოპოლიტიკურ თამაშს რეგიონში, ლონდონმა უდიდესი დაინტერესება გამოამჟღავნა ჩრდილოეთ ერაყის მიმართ, რომელზეც ნავთობის არსებობის შესახებ ცნობები მალე გავრცელდა.

დიდი ბრიტანეთის მანდატს ცენტრალური და სამხრეთ ერაყი ექვემდებარებოდა ასევე ქუვეითიც (წითელი ზონა). გავლენის სფეროში ასევე ექცეოდა იორდანია და დასავლეთ ერაყი. პალესტინა, რომელიც ნეიტრალურ ტერიტორიად ცხადდებოდა, იერუსალიმითირთ (ყავისფერი ზონა) საერთაშორისო ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა. თუმცა რუსეთმა ფაქტობრივად ვეღარაფერი მიიღო, რადგან ის ომს ნაადრევად გამოეთიშა.

„საიქს-პიკოს“ ხელშეკრულებაში სრულიად იგნორირებულია ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობის ეთნიკური საზღვრები. არაფერი არ არის თქმული ქურთების შესახებ, რომლებიც ამ ტერიტორიაზე კომპაქტურად ცხოვრობდნენ და რომელთა რიცხვი ათეულობით მილიონს შეადგენდა. რეალურად ეს შეთანხმება ზუსტად არ შესრულებულა. არც არაბული კონფედერაცია შექმნილა, არც ანატოლიის ნაწილები მიიღო საფრანგეთმა რუსეთმა ან იტალიამ და არც ოსულის ვილაიეთი დარჩათ ფრანგებს. პალესტინაში, რომელიც საიქს-პიკოს შეთანხმებით საერთაშორისო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა, სულ სხვა პოლიტიკურ-გეოგრაფიული ვითარება შეიქმნა. ომის დროს ის დაიპყრეს ბრიტანელებმა და 1922 წელს ერთა ლიგისგან მიიღეს პალესტინა, როგორც „სამანდატო ტერიტორია“. გარდა ამისა, უკვე 1917 წლის 2 ნოემბერს ბრიტანეთის მთავრობა ღიად დაპირდა მსოფლიო სიონისტურ ორგანიზაციას ებრაელთათვის „ეროვნული კერის“ დაფუძნებას პალესტინაში, იმ პირობით, რომ არ შეილახებოდა იქ მცხოვრები სხვა რელიგიური თემების უფლებები. ეს დაპირება „ბალფურის დეკლარაციის“ სახელითაა ცნობილი, რადგან მას ხელს აწერდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტი ლორდი

ართუტ ბალფური. „ბალფურის დეკლარაციამ“ განსაკუთრებით შეაშფოთ არაბები, რადგან ისინი პალესტინას არაბულ მიწად მიიჩნევდნენ და იმ დროს იქ მართლაც შეადგენდნენ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. [11]

„საიქს-პიკოს“ გარიგების გეოპოლიტიკური სულისკვეთება შენარჩუნდა. არაბები მას დღემდე იხსენებენ, როგორც მათ მიმართ დასავლეთელი იმპერიალისტების მიერ ჩადენილი უსამართლობის თვალსაჩინო მაგალითს. მეორე მხრივ, მრავალი არაბული სახელმწიფოს წარმოშობას „მტაცებელ ევროპელ იმპერიალისტებთან“ ერთად საკუთრივ არაბმა ლიდერებმაც შეუწყვეს ხელი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ იმავე ჰუსაინ ბინ ალის ვაჟების ფაისალის და აბდულას მოთხოვნა, რომელიც სამფლობელოებს შეეხებოდა და მიიღეს კიდეც. ფაისალმა ჯერ სირიის მეფედ გამოაცხადა თავი დამასკოში, საიდანაც ის ფრანგებმა გააძევეს, სამაგიეროდ ბრიტანელებმა ფაისალი ერაყის მეფედ „აარჩევინეს“და მისი მემკვიდრეები ამ სახელმწიფოს 1958 წლამდე მართავდნენ. აბდულას წილად ხვდა ტრანსიორდანიის საამირო, რომლის ბაზაზეც იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო არსებობს და მისი შთამომავალი იქ ახლაც მეფობს.

არსებობს მოსაზრება, რომ დასავლეთ აზიის „თავის ნებაზე მიშვება“ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ანტანტას პოლიტიკური თვალსაზრისით არ შეეძლო. ასეთ შემთხვევაში რეგიონში დაიწყებოდა შინაომები, მოხდებოდა ე.წ. „ბალკანიზაცია“, ანუ წარმოიქმნებოდა მრავალი სამეფო, საამირო და საშეიხო. შემდეგ კი რომელიმე მუსლიმი ლიდერი შეეცდებოდა ბრძოლით გაეერთიანებინა ტერიტორია, ხალიფად გამოეცხადებინა თავი და გეოპოლიტიკური საპირწონე შეექმნა ბრიტანეთისთვის, რომელსაც აწუხებდა თავის კოლონია ინდოეთში მცხოვრები მრავალრიცხოვანი უსლიმის შესაძლო რადიკალიზაცია. ასეთი რამ რეალურად არ მომხდარა.

---

[11] The Sykes-Picot Agreement 1916. გვ1. https://avalon.law.yale.edu/20th_century/sykes.asp (უკანასკნელად გადამოწმებულია 24.12.2019)

1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ინგლისის პრემიერ- მინისტრი, დევიდ ლოიდ ჯორჯი გეგმავდა ქურთისტანის კანდიდატურის წამოყენებას. ქურთების განსახლების არეალი, შესაძლოა, ეღიარებინათ მოკავშირე სახელმწიფოთა მანდატის ქვეშ მყოფ პოლიტიკურ ერთეულებს შორის და არსებობდა შესაძლებლობა მიეღო დამოუკიდებლობა. ბრიტანელ პოლიტიკოსს საწყის სიაში ქურთისტანის ჩართვა დაავიწყდა და შესწორება მოგვიანებით ითხოვა. შესწორება ქურთისტანზე არ გამოჩნდა ფრანგულ ვერსიაში. არსებობს მოსაზრება, რომ ქურთისტანის მოხვედრა ბრიტანეთის მანდატს ქვეშ საფრაგეთს არ სურდა. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დამოუკიდებელი ქურთისტანის პროექტს კვლავ ითხოვდა, რადგან დიდი ბრიტანეთის სტრატეგიული მიზანი ბოლშევიკურ რუსეთს, თურქეთს და მესოპოტამიას შორის ბუფერული სახელმწიფოს შექმნა იყო. [12]

ოსმალეთის იმპერიის რეგიონებისთვის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების გარანტიებზე იყო საუბარი აშშ-ის პრეზიდდენტ ვუდრო ვილსონის ე.წ. „მე-14 პუნქტში“. აშშ-ის პრეზიდენტი თვითგამორკვევის კონცეფციას ემხრობოდა, თუმცა მოგვანებით, აშშ ომის შემდგომი სამშვიდობო პროცესიდან გავიდა და აშშ-ს კონგრესმა ვერსალის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარი თქვა.

საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესში ერაყის საკითხზე განსაკუთრებით ბრიტანეთი აქტიურობდა. თურქეთთან ერთადერთი უთანხმოების საგანი მოსულის ზონა იყო. ბრიტანეთში გადაწყვიტეს, რომ მოსუის ნავთობით მდიდარი რეგიონი ერაყის სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა.

სპარსეთის ყურის უდაბური, ხალხმცირე და ღატაკი საშეიხოები (კატარი, ბაჰრეინი, შეთანხმებითი ომანი მომავალი გაერთიანებული არაბული საამიროები, ქუვეითი), რომლებიც საოცრად გამდიდრდნენ მხოლოდ 1950 წლებიდან იქ აღმოჩენილი ნავთობის წყალობით, ბრიტანეთმა საიქს-პიკოს შეთანხმებამდე ბევრად

[12] გ. სანიკიძე. გ.ალასანია. ნ. გელოვანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან XIXს-XXIს-ის დასაწყისი. თბილისი 2011. 182-185გვ.

ადრე წმინდა გეოპოლიტიკური მიზნით აქცია თავის პროტექტორატებად. მათ მმართველებს კი ბრიტანული დახმარება მართლაც დასჭირდათ არაბეთის ნახევარკუნძლის მთლიანად გაერთიანების მოსურნე აბდალაზიზას საუდისგან თავის გადასარჩენად. ბრიტანელები რომ არა, აბდალაზიზი, შეიხებს არ დაინდობდა, როგორც 1924 წელს არ დაინდო და მექადან განდევნა ბრიტანელების მსოფლიო ომის დროინდელი მოქავშირე ჰუსაინ ბინ ალი.

1932 წელს აბდალაზიზმა უდაბნოებში მდებარე თავის სამეფოს „საუდის არაბეთი“ დაარქვა სახელად, იმავე წელს, როდესაც იქ დიდი ნავთობი აღმოაჩინეს. საკუთრივ „საიქს-პიკოს გარიგება“ მკვდარია. კარგა ხანს ცდილობდა მისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მემკვიდრეობა: ეს იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ქვეყნები, რომელთა არსებობასაც მსოფლიო მიეჩვია. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, „ცივი ომის“ პირობებში, მეტოქეობის მიუხედავად აშშ და საბჭოთა კავშირი დაინტერესებულნი იყვნენ მყიფე წონასწორობის შესარჩუნებით ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ვერ დაარღვია ვერც ებრაული სახელმწიფოს შექმნამ უპირატესად ისლამური სამყაროს შიგნით (ისრაელ-არაბთა ომების შედეგი იყო ისრაელის აღიარება მისი მოწინააღმდეგეების ეგვიპტისა და იორდანიის მიერ), ვერც ერაყის აგრესიულმა მოქმედებამ ირანისა და ქუვეითის მიმართ.

მთელი XIX და XX საუკუნეების განმავლობაში, ოსმალეთის იმპერია აგრძელებდა ტერიტორიების დაკარგვას, მათ შორის დაკარგა საბერძნეთი, ტუნისი, ლიბია, ალჟირი და 1912 -1913 წლების ბალკანეთის ომების შემდეგ, ბალკანეთიც. XX საუკუნის დასაწყისამდე, ანატოლია რჩებოდა მრავალეთნიკურ რეგიონად. რეგიონი გამოირჩეოდა მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნებით, მათ შორის იყვნენ სომხები, ასურელები, ქურთები, ბერძნები, იტალიელები, თურქები და ფრანგები. ყველა მხრიდან ტერიტორიული დანაკარგების შემდეგ, ოსმალეთის იმპერიამ სამი ფაშის მმართველობის ქვეშ, ალიანსი დაამყარა გერმანიასთან, რომელიც ოსმალეთს ჯარისა და აღჭურვილობით დაეხმარა. ოსმალეთის იმპერია

ჩაერთო პირველ მსოფლიო ომში (1914-18) ცენტრალური ძალების მხარეს და საბოლოოდ დამარცხდა. პირველი მსოფლიო ომის შემდგ დიდი ტერიტორიებისა და ხალხების იმპერიამ, რამდენიმე ახალ სახელმწიფოებად დაიყო. სევრის ხელშეკრულებით გადაწყდა დაშლილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ქურთული ავტონომიის შექმნა მომავალში სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივით (ეს ავტონომია ძირითადად მოიცავდა თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს.) თუმცა ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა. 1920 წელს სევრის ხელშეკრულება („Treaty of Sevres"), რომელიც ოტომანთა იმპერიასა და ანტანტას შორის დადებულ სამშვიდობო ზავს წარმოადგენდა და გულისხმობდა ჰიჯაზის, ერაყის, სომხეთისა და სირიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარბის მხარდაჭერას, 64-ე პუნქტში ასევე ასახულია ქურთისტანის, როგორც ქურთების მიერ დასახლებული გეოგრაფიული ტერიტორიის, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების პროექტი. [13]

2.2. ქურთისტანის ტერიტორიების დანაწილება და ერაყის ქურთისტანის ჩამოყალიბება

ომის განმავლობაში ანტანტის სახელმწიფოებმა არაერთ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი ერთმანეთთან ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიების მომავალი დანაწილების შესახებ, თუმცა ეს შეთანხმებები არ ითვალისწინებდა ანტანტის არაბი მოკავშირეების მიზნებსა და სურვილებს, არამედ მიმართული იყო ალიანსის ევროპული წევრების ინტერესთა დაკმაყოფილებისაკენ. ხელშეკრულებების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ალიანსის წევრებითვის პოტენციური უთანხმოების მოსპობა, ეს კი მიღწეულ იქნა ალიანსის წევრებისათვის ამგვარი „მოვლენათა წინმსწრები" ტერიტორიული კომპენსაციით.

[13] E. J. Erickson. Ordered to Die: A History of the Ottoman Army in the first World War. London: Praeger. 2000 y. p.102-104

1915 წელს, როდესაც რუსეთის არმიამ შეაჩერა შეტევა აღმოსავლეთ ანატოლიაში და პოლონეთში უკან იხევდა, ბრიტანეთსა და საფრანგეთს შეშფოთების მიზზი გაუჩნდათ, რომ რუსეთის სურვილი გაეგრძელებინა ომი, შეიძლებოდა გამქრალიყო. აქედან გამომდინარე, მათ გადაწყვიტეს წინასწარ დაპირებოდნენ რუსეთის მეფეს, მისთვის სასურველ ტერიტორიებს. 1915 წლის მარტში ბრიტანეთმა, რუსეთმა და საფრანგეთმა მოაწერეს ხელი „კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებას", რომლითაც მოკავშირეები დაპირდნენ რუსეთს სტამბულისა და თურქული სრუტეების გადაცემას. კონსტანტინოპოლის შეთნხმება არასდროს განხორციელებულა- 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ლენინმა უარყო ყოფილ მოკავშირეებთან დადებული ყველა ხელშეკრულება.

გაცილებით უფრო მძიმე საკითხი იყო ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით მუდმივი დაძაბულობა ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ საფრანგეთი ითხოვდა ოსმალეთის სირიას. რამდენადაც საფრანგეთმა ტვირთა დასავლეთის ფრონტზე ბრძოლის არნახული სიმძიმე, მას არ დარჩა ძალა აქტიურად ჩართულიყო ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში და შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს ბრიტანეთის სულ უფრო მზარდ სამხედრო ჩარევას რეგიონში. საბოლოო ჯამში წინა თავებში აღვნიშნეთ, რმა მხარემ მიაღწია შეთანხმებას და 1916 წელს მათ მოაწერეს საიდუმლო ხელშეკრულებას ხელი, რომლითაც ისინი ერთმანეთში იყოფდნენ არაბული ახლო აღმოსავლეთის ძირითად ნაწილს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია I მსოფლიო ომის შემდეგ დაიშალა ოსმალეთის იმპერია. შედეგად ქურთები ოთხ სახელმწიფოში (ერაყი, ირანი, თურქეთი და სირია) აღმოჩნდნენ გაფანტული. დღეს თურქეთში -დაახლოებით 15 მილიონი, ირანში -8, ერაყში- 5.5, ხოლო სირიაში 1,7 მილიონი ქურთი ცხოვრობს. ერთი შეხედვით შესაძლოა პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ერაყისა და სირიასთან შედარებით მცირერიცხოვანმა ქურთულმა მოსახლეობამ უფრო მეტი უფლებების

მოპოვება შეძლო ვიდრე მათმა ნათესავებმა თურქეთსა და ირანში. ამის მიზეზი არის ის, რომ თურქეთსა და ირანს სახელმწიფოებრიობის და შესაბამისად პოლიტიკური სიტუაციების მართვის დიდი ტრადიციები აქვთ, ხოლო ერაყი და სირია შედარებით ახალი და არასტაბილური ქვეყნები არიან და შესაბამისად სახელმწიფოებრიობის ნაკლები გამოცდილება აქვთ. [14]

1920 წელს სან-რემოს კონფერენციაზე ინგლისმა მოკავშირეების თანხმობით მიიღო ერთა ლიგისაგან მანდატი სამი ოსმალური ვილაიეთის ტერიტორიაზე შეექმნა ერაყის სახელმწიფო. მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტს შიიტები, 20 პროცენტს სუნიტები, 20 პროცენტს ქვეყნის ჩრდილოეთში მოსახლე ქურთები, 8 პროცენტს კი ქრისტიანები, იეზიდები თურქმანები და საბაელები შეადგენდგნენ.

ინგლისელთა პოლიტიკა ერაყში არ გამოირჩეოდა ლიბერალობით. ჩვეულებრივი იყო სურსათისა და მიწების რეკვიზიცია, შრომითი ბეგარა, სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა. ინგლისს პოლიტიკით უკმაყოფილო ერაყის მოსახლეობის დიდი ნაწილი- არაბები და ქურთები, ხელოსნები, მომთაბარეები. ინგლისის საწინააღმდეგო პოზიცია ჰქონდა ეროვნულ ბურჟუაზიასაც.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის ბოლოს დაიწყო აჯანყებები ერაყის ცალკეულ ნაწილებში: 1918 წელს ნაჯაფში, 1919 წელს ქურთთა აჯანყება ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში და სხვა.

1920 წელს ერაყული რევოლუცია იყო წყალგამყოფი მოვლენა ერაყის ისტორიაში. შიიტები და სუნიტები, სხვადასხვა ქალაქები და ტომები პირველად გაერთიანდნენ ერთი მიზნის მისაღწევად.

---

[14] ო. გიგინეიშვილი. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია. თბილისი. მეცნიერება 1983 წ. 142-146 გვ.

1925 წელს მიიღეს ქვეყნის ორგანული კანონი, რომლითაც ერაყი მემკვიდრეობით კონსტიტუციურ მონარქად გამოცხადდა. ორპალატიანი პარლამენტით. მეფეს მიენიჭა უფლება პარლამენტის დათხოვისა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისთვის ერაყი იყო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა. სანავთობო მრეწველობის გარდა, მანდატის პერიოდში არ ჩამოყალიბებულა არცერთი მსხვილი სამრეწველო საწარმო. ერაყისთვის ფორმალური დამოუკიდებლობის მინიჭება დაემთხვა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს. [15]

სავსებით შესაძლებელია ენობრივი ნათესაობის გამოყენება პოლიტიკურ ფაქტორად. პოლიტიკურ-გეოგრაფიულად საინტერესო მაგალითია ჩრდილოეთ ერაყში ქურთებს შორის შერეულად მცხოვრები ლინგვისტური უმცირესობა-თურქულენოვანი თურქმენები. სარწმუნო მონაცემებით XX საუკუნის დასაწყისში ისინი ნახევარ მილიონამდე იყვნენ. მაგრამ ანკარაში მათ რაოდენობას ოთხჯერ მეტს 2 მილიონს ასახელებდნენ, ისე, რომ თურქმენები ადგილობრივ 5 მილიონ ქურთთან შედარებისას რაოდენობრივად არც თუ ისე მცირედ ჩანდნენ. XXI საუკუნის დამდეგს, როგორც კი ხელახლა წამოიჭრა „ქურთების პრობლემის გადაჭრის“ ვარიანტები, რომელთა შორის იყო ერაყის ქურთისტანის ავტონომიის შექმნა, თურქმენების მფარველობა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად გადაიქცა. ერაყის ქურთი ლიდერები თვლიან, რომ თავისი პოლიტიკური გავლენის გასაზრდელად ანკარა ხელოვნურად მანიპულირებს „თურქმენული პრობლემით“.

ირანი და თურქეთი ერაყის ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნას აღიქვამენ ეგზისტენციალურ საფრთხედ. ანკარასა და თეირანში შიშობენ, რომ იგი შეიძლება იქცეს ერთგვარ მაგალითად ან მიზიდულობის ცენტრად თურქეთსა და ირანში

[15] Gareth M. The Kurdish Question and Turkey: An Example of a Trans-state Ethnic Conflict. London and Portland, Or: Frank Cass. 1997y. p.52-56

მცხოვრები ქურთული წარმოშობის მოქალაქეებისათვის. თეირანში კარგად ახსოვთ, რომ სწორედ მასუდ ბარზანის მამამ მუსტაფა ბარზანიმ საბჭოთა კავშირის წაქეხებით 1946 წელს ირანის ტერიტორიაზე ჩამოაყალიბა ე.წ „მაჰაბადის რესპუბლიკა“. მართალია, ეს წარმონაქმნი უდღეური აღმოჩნდა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქურთების შეკავშირების საგულისხმო პრეცენდენტად იქცა. ამიტომ ორმა ძლიერმა რეგიონულმა ძალამ - ირანმა და თურქეთმა ერაყთან ერთად დაიწყეს შეთანხმებული მოქმედება ერაყის ქურთისტანის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ახლო აღმოსავლეთში შიშობენ, რომ ერაყის ქურთისტანი შესაზლოა იქცეს ერთგვარ „პანდორას ყთად“ და მის მაგალითს მიყვნენ რეგიონის სხვა უმცირესობებიც. ამან კი შესაძლოა ქაოსისა და უმართავი პროცესის დაწყება გამოიწვიოს. ერაყში შეიიძლება გრძელვადიანი ეთნოკონფვენსიური დაპირისპირებაც დაიწყოს. ეს საფრთხე საკმაოდ რეალურია, რასაც შესაძლოა ქვყნის კიდევ უფრო პატარა ნაწილებად დაშლა მოჰყვეს. იქ ხომ ქურთების გარდა სუნიტი არაბები, თურქომანები, ასირიელები და იეზიდებიც დაჩაგრულად არიან. ეს ჯგუფები კი შესაძლოა ადვილად იქცნენ ე.წ. „Proxy“-ებად დიდი სახელმწიფოების ხელში. სწორედ ასეთმა სიტუაციამ განაპირობა თავის დროზე ქვეყნის სუნიტურ ნაწილში „დაეშის“ პოზიციების გაძლიერება.

მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარების შემთხვევაში მოსალოდნელა მორიგი ჰუმანიტარული კატასტროფა და ლტოლვილთა ახალი ნაკადების დაძვრა, როგორც მეზობელი ქვეყნების, ისე ევროპის მიმართულებით. მართალია, ერაყის ქურთისტანის პრობლემა სრულიად განსხვავდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევებისგან, მაგრამ მაინც შესაძლებელია იგი ამ მიმართულებითაც აქციონ აქტუალურ თემად. ერაყის ცენტრალურმა ხელისუფლებამ არაერთხელ მოუწყო ეთნიკური წმენდა და დეპორტაცია ქურთებს, რაც საქართველოს შემთხვევაში პირიქით მოხდა-საოკუპაციო რეჟიმები იყვნენ ამ რეგიონებშ მცხოვრები ეთნიკურად ქართული მოსახლეობის განადგურებისა და განდევნის მოთავეები. თუმცა ეს იმას არ

ნიშნავს, რომ კრემლი თუ მას ამის საშუალება მიეცემა, არ დაიწყებს ერაყის ქურთისტანის მაგალითზე მანიპულირებას. [16]

თავი I I I

ერაყის ქურთისტანის გზა დამოუკიდებლობისაკენ

[16] ესაძე ს. „ქურთები“. 1927წ. N2. 75-79გვ

3.1. მუსტაფა ბარზანი და ერაყის ქურთისტანის სტატუსი

ერაყის ქურთების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1946 წელს შეიქმნა ქურთისტანის დემოკრატიული პარტია, რომლის დამაარსებელი მუსტაფა ბარზანი იყო და მან ავტონომიისთვის ბრძლა დაიწყო, რომელიც 1961 წელს შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამ პარტიაში ერთიანობა თავიდანვე არ იყო. ერთ მხარეს იდგა მოლა მუსტაფა ბარზანი, რომელსაც ტომები მხარს უჭერდნენ, ხოლო მეორე მხარეს -იბრაჰიმ აჰმადის და ჯალალ ტალაბანის მემარცხენე ფრთა, რომელიც ძირითადად ურბანულ ფენებს ეყრდნობოდა. მოგვიანებით ტალაბანის მომხრეები გაერთიანდნენ ქურთისტანის პატრიოტულ კავშირში, რომელიც ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, დღეს ქურთისტანის მთავარ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. ორ პარტიას შორის არსებული წინააღმდეგობა ხანგრძლივი დროის მანძილზე უშლიდა ხელს ქურთებს დამოუკიდებლობის მიღწევის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაში. თუმცა ბოლო ხანებში ეს წინააღმდეგობები გადაილახა, უკანა პლანზე გადავიდა ბარზანისა და ტალაბანს შორის არსებული დაპირისპირებაც. აღსაღნიშნი ფაქტია, რომ ჯალალ ტალაბანი რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ მალე გარდაიცვალა.

ქურთისტანის სახლემწიფოებრიობის შექმნის მეორე მცდელობას შეილება მივაწეროთ 1956 წელს ჩრდილოეთ ირანის საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლება, ქურთული მეჰაბადის რესპუბლიკა, რომლის დედაქალაქიც მაჰაბადშია. ამ მოკლევადიანი მარონიტული სახელმწიფოს პრეზიდენტი გახლდათ მუსტაფა ბარზანი, ცოტა მოგვიანებით ერაყის ქურთისტანში ეროვნული მოძრაობის ლიდერად გამოცხადდა. ამ რესპუბლიკამ 1947 წელს საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ შეწყვიტა არსებობა.

როდესაც საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულმა რევოლუციამ 1959 წელს მონარქია გააუქმა, ბარზანი მიესალმა ერაყში დაბრუნებას და KDP გახდა მნიშვნელოვანი მოთამაშე ერაყის პოლიტიკურ ასპარეზზე. კარგი ურთიერთობა სამხედრო მთავრობებს შორის ბაღდადში, რომელსაც აბდულ ქარიმ ქასმი და KDP ხელმძღვანელობდა დიდხანს არ გაგრძელებულა იმის მიუხედავად, რომ ორივეს მძლავრი კავშირი ჰქონდა საბჭოთა კავშირთან ცენტრალურ მთავრობას, ამავე დროს, საბჭოთა გავლენის ქვეშ მყოფ ეკონომიკურ რეფორმას ხელი შეუწყოს KDP მხარს უჭერდა, არ ჰქონდა სურვილი ქურთებისთვის მიეწოდებინა კულტურული და პოლიტიკური ავტონომია, რომელსაც ბარზანი ითხოვდა.[17]

ათწლეულების განმავლობაში ბარზანმა საბჭოთა კავშირში გაიარა სამხედრო მომზადება. როდესაც ერაყში დაბრუნდა მას გამოცდილება ჰქონდა თანამედროვე საბრძოლო სტრატეგიული და ტაქტიკური ხასიათის მქონე ტომობრივი საბრძოლო განყოფილების დაფუძნებისთვის. ცოდნამ მას საშუალება მისცა სწრაფად ჩამოეყალიბებინს ძლიერი საბრძოლო ძალა, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც peshmerge, (ქურთული ტერმინი, რომელიც ნიშნავს სიკვდილის მსურველებს.

მესამე მცდელობა იყო 70-იანი წლების შუა ხანებში, როცა ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყში შეიქმნა ქურთის ავტონომიური რეგიონი. ის მოიცავდა სამ გუბერნატოს. ავტონომია მოიცავდა ერაყის ქურთული ტერიტორიის მხოლოდ ნახევარს, მაგალითად ნავთობით მდიდარი კირკუის გუბერნატორის უკან. ავტონომიის გამოცდილება არ აღმოჩნდა წარმატებული და მალევე შეუშალეს ხელი ბაღადის მთავრობას, რომელიც ჩამოყალიბდა ბაასის პარტიის მიერ და რომლის ხელმძღვანელიც სადამ ჰუსეინი იყო. მათ არ გამოუყენებიათ სხვადასხვა მიზეზების გამო არსებული შესაძლებლობები, ქურთები აგრძელებენ ბრძოლას თავიანთი ავტონომიისათვის. როგორც უკვე ვთქვით ეს ბრძოლა ძირითადად ძალადობრივი

[17] A. Richards. J. Waterbury. A Political Economy of the Middle East. 2008 y. 303-307p.

გზით გრძელდება სამხედრო ოპერაციებითა თუ ტერორისტული აქტების გამოყენებით. იქიდან მოყოლებული საიდანაც ქურთისტანი პლანეტის ყველაზე მსხვილი აღმოსავლეთის კონფლიქტის კერა გახდა და გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა, რეგიონს გარე ძალები არ ანებებდნენ თავს და მათით მანიპულირებდნენ. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 1980-1990 წლების ირან-ერაყის შეიარაღებული კონფლიქტირს დროს მოწინააღდმდეგე მხარეების მიერ ქურთული ჯგუფების გამოყენება.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, ქურთისტანის ყველა ნაწილში ეროვნული ქურთული მოძრაობა განვითარდა სხვა ნაწილებისგან დამოუკიდებლად. 70-იანი წლებიდან მკვეთრად გაიზარდა ქურთული მეამბოხე ჯგუფების საქმიანობა, რაც პირდაპირ კავშირში იყო თურქი კომუნისტების ანტისამთავრობო პროტესტთან.

1974 წლის მარში, ბარზიანმა გაავრცელმა მოწოდება იარაღის გაგზავნისთვის ერაყის ქურთებისათვის. ეს იყო მინიმუმ ათეული მკვლელობის სამიზნე, რომელთაგან ორი მათგანი თითქმის წარმატებული იყო. მან დაკარგა რწმენა ერაყის მზადყოფნის თაობაზე ქურთული ავტონომის შესახებ შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით, რომელზეც ხელი მოაწერა 1970 წლის მარტში. მიუხედავად მისი ასაკისა გადაწყვიტა კიდევ ერთხელ ებრძოლა. ბარზიანი ახლა ერაყის ქურთების უდავო ლიდერი იყო და ის მეტ-ნაკლებად ღია მხარდაჭერით სარგებლობდა ირანის შაჰის, მუჰამედ რეზა ფახავის მიერ. რაც მთავარია, იგი გრძნობდა, რომ მან მიიღო შეერთებული შტატების მთავრობის საიდუმლო მხარდაჭერა, რომელიც გაგრძელდა რიჩარდ ნიქსონისა და ჰენრი კისინჯერის (სახელმწიფო მდივნის პირადი ბრძანებით.

1970 წელს აჯანყებულთა ლიდერმა მუსტაფა ბარზანი და ერაყის ხელისუფლების ერთ-ერთმა ლიდერმასადამ ჰუსეინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიცქურთული ავტონომიის შექმნას ითვალისწინებდა. ამან ჰესეინს დიდი პოპულარობა შეჰმატა და დაეხმარა ერთპიროვნული დიქტატურის დამყარებაში.

ერაყის ხელისუფლებამ კი ავტონომია ცალმხრივი აქტით დააფუძნა და არ გაითვალისწინა ქურთი ლიდერების პრეტენზიები კიკუკის სანავთობო რაიონზე. [18]

ქურთული აჯანყების დასრულებისთანავე, ბარზიანი გახდა შაჰ მუჰმად მუზა რეზა ფალავივის სტუმარი, (ის ადამიანი ვინც მას უღალატა). ის და მისი ოჯახის წევრები გადავიდნენ თეირანის სასახლეში მდებარე სააზმან კაშვარ ვა ამნიატ ეტალათის შენობაში, რომელიც უფრო ცნობილია როგორც SAVAK, ირანის საიდუმლო პოლიციის სააგენტოს შაჰი.

1972 წელს მთავრობამ მოახდინა დასავლეთის ნავთობკომპანიების ნაციონალიზაცია, ხოლო 1973 ოქტომბრის არაბეთ-ირაელის ომის შემდეგ ნავთობის მსოფლიო ფასები ათჯერ ავიდა 1960-იანი წლების დონეზე. ფული ერაყის ხაზინაში შევიდა-იარაღი და ფული სავსებით საკმარისი იყო ქურთებთან ომის გასაფორმებლად და ქვეყანა დაადგა უპრეცედენტო კეთილდღეობისა და განვითარების გზას.

ამ ყველაფრის შემდეგ აჯანყება გაგრძელდა და მხოლოდ 1975 წელს მოხერხდა მისი ჩახშობა. ზოგიერთი სადავო სასაზღვრო ტერიტორიის ირანისათვის გადაცემის სანაცვლოდ შაჰის ხელისუფლება დათანხმდა, აჯანყებული ქურთებისთვის შეეწყვიტა დახმარება და ერაყელებთან ერთა ემოქმედა მათ წინააღმდეგ.

1980 წლის შემდეგ ეს შეტაკებები ძირითადად ქურთული იყო. ქურთების მიერ ანკარასთვის წარდგენილი მოთხოვნები მოიცავს კულტურული ავტონომიის აღიარებას და სრულ დამოუკიდებლობას.

ირან-ერაყის ომის მიმდინარეობისას, ერაყელი ქურთები ირანელებს ეხმარებოდნენ, რომლებმაც 1983 და 1987 წლების ოპერაციების დროს ერაყის ქურთისტანის ნაწილი დაიკავეს, თუმცა 1988 ში ერაყელებმა ისინი განდევნეს. ამ

[18] მთები მეგობრების ნაცვლად-ვინ არიან ქურთები და რა ბედი ელით მათ სირიაში. გვ1. http://www.tabula.ge/ge/story/157726-mtebi-megobrebis-nacvlad-vin-arian-qurtebi-da-ra-bedi-elit-mat-siriashi (უკანასკნელად გადამოწებულია 19.12.2019)

პერიოდში სადამ ჰუსეინმა დაიწყო სადამსჯელო „ოპერაცია ანფალი“, რომლის დროსაც ერაყელმა სამხედროებმა დაახლოებით 182 ათასი ქურთი მოკლეს, 5 ათასი დასახლებული პუნქტიდან ოთხი ათასი მიწასთან გაასწორეს. მშვიდობიანი მოსახლეობა დადეპორტდა, და ქიმიური იარაღის, არტილერიისა და ავიაციის გამოყენება. 700 ათასამდე ქურთი საკონცენტრაციო ბანაკებში განათავსეს, დაახლოებით მილიონმა ერაყი დატოვა.

ერაყი ქუვეითის ომში დამარცხების შემდეგ ქურთებმა ახალი აჯანყება მოაწყვეს და მთელი რიგი ქალაქები დაიკავეს, მაგრამ ჰუსეინმა შეძლო კონტრშეტევის განხორციელება. „ახალი ანფალის“ შიშით რეგიონი მილიონზე მეტმა ქურთმა დატოვა. რეგიონი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა და გაერომ 1991 წლის 5 აპრილს ერაყის ქურთსტანი „უსაფრთხოების ზონად“ გამოაცვადა. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ულტიმატუმის შემდეგ, სადამ ჰუსეინი იძულებული გახდა ჯარები გაეყვანა რეგიონდან. ამის შედეგად შეიქმნა დე-ფაქტო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, რომლის სტატუსიც მოითხოვდა დაზუსტებას. შემდგომი 12 წლის განმავლობაში მას ერაყთან თითქმის არაფერი აკავშირებდა.

ერაყული ქურთისტანი სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს განიცდიდა თავდაპირველად და სადამ ჰუსეინმა მას ბლოკადა გამოუცხადა. 1992 წელს ამ სახელმწიფო წარმონაქმნში დაიწყო სამოქალაქო ომი ორ ყველაზე გავლენიან ძალას შორის. ეს იყო „დემოკრატიული პარტია“ და „პარტიული კავშირი, რომელმაც რამდენიმე ათასი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ კონფლიქტში აქტიურად ჩაერთო თურქეთისა და ირანის სახელმწიფოები. ერთ-ერთმა მხარემ დასახმარებლად სადამ ჰუსეინს მიმართა. 1998 წელს ამერიკელებმა ქურთ ლიდერებს გავლენისა და შემოსავლების გაყოფია ახალი სქემა შესთავაზეს და აიძულეს დაზავება. ამავე პერიოდში შედარებით გაუმჯობესდა რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა. ამოქმედდა გაეროს პროგრამა „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“

ერაყული ქურთისტანისთვის ერაყის შემოსავლების 13 პროცენტის გამოყოფას ითვალისწინებდა. [19]

სადამ ჰუსეინის დამხობის დროს ქურთებმა დაიკავეს მოსული და რეგიონის სანავთობო დედაქალაქი კირკუკი. სინი ცდილობდნენ სადამ ჰუსეინის მიერ „არაბიზაციის“ პროცესში ჩასახლებული არაბები განედევნათ ტერიტორიიდან. ამერიკელები შეეწინააღმდეგნენ 2003 წელს დაკავებული ტერიტორიების შეყვანას ქურთული ავტონომიის შემადგენლობაში, თუმცა მათ დე-ფაქტო ქურთები აკონტროლებდნენ.

2003 წლის ბოლოს ქურთული ავტონომიის ხელმძღვანელობასა და ერაყის ახალ ხელისუფლებას შორის გაფორმდა შეთანხმება, რომელიც რეგიონისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას ითვალისწინებდა, ამასთანავე, საკუთარი შეიარაღებული რაზმების ყოლის და ერაყის შემადგენლობიდან გასვლის უფლებას, თუ ცენტრალური ხელისუფლება შეთანხმებას დააღვევდა. 2005 წელს შესაბამისი მუხლები ერაყის კონსტიტუციაში შევიდა.

3.2. ერაყის ქურთისტანის პრობლემა სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში

1954 წელს ერაყში დაარსდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია, სახელწოდებით ბაასი, რომელმაც მალე მოიპოვა პოპულარობა მოსახლეობაში. ეს პარტია დაპირდა ხალხს, რომ სოციალურ რეფორმებს გაატარებდა. 1956 წელს ერაყის არმოაში იატაკქვეშა ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრები“ ჩამოაყალიბა, რომელშიც სუნიტი არაბი ოფიცრები დომინირებდა. 1957 წელს სადამ ჰუსეინი გახდა

[19] D. Korn „The Last Years of Mustafa Barzani“. The Middle East Quarterly 1, no.2. 1994y. 35-39p.

ბაასის წევრი. სადამ ჰუსეინი ოცნებობდა რომ ეს ორგანიზაცია გადაექცია ორგანიზებულ ძალად, რომელსაც შეეძლო არა მარტო ხელისუფლების მოპოვება, არამედ მისი შენარჩუნება.

1979 წელს ქვეყნის პრეზიდენტი გახდა სადამ ჰუსეინი. იმავდროულად მან დაიკავა პრემიერ-მინისტრის, რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს, თავმჯდომარის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლისა და ბაასის გენერალური მდივნის პოსტები. ქვეყანაში დამყარდა ჰუსეინის აბსოლუტური ხელისუფლება.

ახალი ლიდერიე ერთ-ერთი პირველი მიზანი გახდა სრული პოლიტიკური, იდეოლოგიური და ადმინისტრაციული კონტროლის დამყარება ქვეყანაში. ეს ამოცანები უნდა გადაწყვერილიყო რამდენიმე გზით-პირველი იყო სახელმწიფო აპარატის „გაწმენდა“ და სადამ ჰუსეინისადმი პირადი ერთგულებით გამორჩეული ადამიანების დანიშნვა სახელმწიფო თანამდებობდებზე. სადამ ჰუსეინი ცდილობდა რომ ტერორით განემტკიცებინა ხელისუფლება. სახელმწიფო მანქანის ძირითადი ამოცანა იყო პრეზიდენტის აბსოლუტური კონტროლის განმტკიცება და ხალზე ფსიქოლოგიური ზეწოლა.

სადამ ჰუსეინი ერაყის საზოგადოების კლანურ სტრუქტურებს აქტიურად იყენებდა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. მის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა საზოგადოებრივი სტრუქტურების სრული იდეოლოგიზაცია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მასობრივი საშუალებების ბაასიზაციას და იდეების დანერგვას.

1980 წლის 20 ივნისს ერაყში ჩატარდა პირველი არჩევნები 1958 წლის შემდეგ. შედეგები არ იყო მოულოდნელი-ეროვნულ ანსამბლეაში ადგილების 75 პროცენტი ბაასისტებმა დაიკავეს. 1980 წელს დაწყებულმა ომმა ირანთან არსებულად გაართულა ვითარება ქვეყანაში. გაზრდილმა სამხედრო ხარჯებმა, მსოფლიო ფასების დაცემამ ნავთობზე, ეკონომიკურმა პრობლემებმა ქვეყანა დააყენა ფინანსური კრიზისის

ზღვარზე. იმავდროულად გაიზარდა ისლამის როლი საზოგადოებაში, თუმცა რეჟიმი ომის წლებშიც არ წყვეტდა რეპრესიებს არმიაში.

1990-იან წლებში ერაყის ქურთები განსაკუთრებულ დისკრიმინაციას განიცდიდნეს სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში, როდესაც სადამ ჰუსეინის ტოტალიტარული რეჟიმის ჩამოყალიბება ხდებოდა- ერაყ-ირანის ომისა და 1990-1991 წლის სპარსეთის ყურის ომის მიმდინარეობისას. თუმცა ამ ომის შემდეგ რეგიონი ბაღდადის ხელისუფლებისათვის პრაქტიკულად ხელმიუხვდომელი გახდა. [20]

1990 წელს ბაასიზმმა ქვეყანაში საბოლოოდ დაანგრია განზაზღვრლ იერარქიასა და წესრიგზე დაფუძნებული ურთიერთობათა ტრადიციული სისტემა. ერაყის ცხოვრების რეალობად გადაიქცა რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მკვლელობები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ეს იყო წამება, საჩვენებელი პროცესები თუ სხვა. ერაყი დამარცხდა კოალიციასთან ბრძოლაში 1991 წლის თებერვალში და ქვეყანა ჩავარდა უკიდურეს მდგომარეობაში. შინაპოლიტიკური კრიზისით ისარგებლეს ქურთებმა ჩრდილოეთში და შიიტებმა სამხრეთში. მოკლე დროის განმავლობაში მათ თავიანთი კონტროლი დაამყარეს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. თუმცა სადამ ჰუსეინმა ოპოზიზიის წინააღმდეგ ოპერაციები ჩაატარა და ჩაახშო გამოსვლები, რადგან ერაყის არმიას კვლავ გააჩნდა საკმარისი ძალა სადამსჯელო ოპერაციების ჩასატარებლად.

1992 წელს სადამ ჰუსეინმა წამოიწყო „რწმენის ლაშქრობა“. შემცირდა ღამის კლუბების მუშაობის საათები და შეწყდა ლიცენზიების გაცემა. ბაღდადში ღამის კლუბების მუშაობის საათები ორმოციდან თვრამეთ საათამდე შეამცირეს. ორი წლის შემდეგ სადამ ჰუსეინის მიერ გამოცემული დეკრეტით აიკრძალა ალკოჰოლის მოხმარება ყველგან. წვეულებებისა და სახლის გარდა. ცოტა მოგვიანებით გამკაცრდა სასჯელი ისეთ დანაშაულებებზე, როგორებიცაა ქურდობა, ძარცვა. ამის

[20] A. Said. Saddam Hussein. 2001y. 247-252p.

გამეორებისთვის სასჯელი იყო ფეხის მოკვეთა. იგივე სასჯელი განსაზღვრეს საზღვრის დატოვებასა და გადაკვეთის მცდელობაზეც.

1999 წელს ნიუ იორკში ერაყელი ოპოზიციონერების ახალი შეხვედრა გაიმართა, რომელზეც შემუშავდა რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალების გაერთიანების ძირითადი პრინციპები. ამავდროულად შიიტური დაჯგუფებების უმრავლესობამ უარი განაცხადა თათბირში მონაწილეობაზე და უარყოფითად შეაფასა მისი ჩატარება. შიიტები ურყევად იცავდნენ თავიანთ პოზიციას, რომლის თანახმადაც ისინი უარს აცხადებდნენ აშშ-ს ეგიდით ჩატარებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებაზე და ამერიკის ნებისმიერი სახის დახმარებაზე ჰუსეინის რეჟიმის წინააღდეგ ბრძოლაში. ოპოზიციური ძალების დაქსაქსულობის პირობებში რეჟიმმა შეძლო ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე კონტროლის შენარჩუნება. [21]

1999 წლის აგვისტოში სადამ ჰუსეინმა თავის მემკვიდრედ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე დანიშნა ჩავისი უმცროსი ვაჟი კუსაი. 2001 წლის აპრილში კი კუსაი აიჩიეს ბაასის გენერალური მდივნის მოადგილედ თავდაცვის პოლიტიკის დარგში. ამით მისი, როგორც ერაყის მეორე პირის მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა. კუსაი ხელმძღვანელობდა რესპუბლიკურ გვარდია, რომელიც უშუალოდ სადამ ჰუსეინის მორჩილების ქვეშ იყო. ასევე არსებობდა სპეცდანიშნულების რესპუბლიკური გვარდია, რომლის მეთაურიც ისევ კუსაი იყო. 1982 წელს ის გამოეყო რესუბლიკურ გვარდიას. ამ შენაერთს ევალებოდა პირადად პრეზიდენტისა და მისი ოჯახის დაცვა, ასევე შეთქმულების აღმოჩენა და მათი აღკვეთა.

1996 წელს შეიქმნა „სადამის ფედაინების“ რაზმები. 40 000 კაციანი საჯარისო ნაწილი უშუალოდ ჰუსეინის ვაჟს -უდეის ემორჩილებოდა. ისინი პატრულირებდნენ ქალაქებსა და სოფლებში, იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგზ და ებრძნოდნენ უკანონოდ შემოტანილ საქონელს. საზოგადოებრიცი წესრიგის დაცვის საქმეში დიდ როლს ასრულებდნენ პარტიის სამხედრო ქვედანაყოფები 1997 წელს შეიქმნა კიდევ

[21] E. Karsh. Saddam Hussein A Political Biograph. 1991y. 195-199p.

ერთი ახალი სტუქტურა-ადნანის სახელწოდებით, რომელიც უშუალოს პრეზიდენტის მორჩილებაში იყო.

2003 წლის 20 მარტს ერაყში სამხედრო მოქმედება დაიწყეს ამერიკისა და ბრიტანეთის სამხედრო ძალებმა, რომელთაც შეუერთდნენ სხვა სახელმწიფოების სამხედრო ქვედანატყოფებიც. 2003 წლის 9 აპრილს კოალიციის ჯარებმა დაიკავეს ბაღდადი. კამპანია გაგრძელდა 43 დღე და დასრულდა პირველ მაისს. საბოლოოდ კი სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაემხო და დაწესდა სამხედრო კონტროლი. ქვეყანაში დროებითი ხელისუფლება გადაეცა კოალიციურ ადმინისტრაციას. ერაყის მოვლენები ამერიკამ „მეწამული რევოლუციის“ სახელით მონათლა. ქვეყანაში დაიწყო „დებაასიზაციის“ პროცესი, რაც ბაასის პარტიის სრულ ლიკვიდაციას გულისხმობდა, ასევე ჰუსეინის მომხრეთა ჩამოცილებას სახელმწიფო აპარატიდან. ერთ-ერთი რადიკალური ცვლილება რაც „სამკვირიანმა ომმა“ მოიტანა ეს იყო სუნიტების მრავალსაუკუნოვანი ერთპიროვნული მმართველობის დასრულება. შიიტებმა ბაღდადის სახალიფოს შემდეგ პირველად შეძლეს ხელისუფლების სათავეში მოსვლა. [22]

2003 წლის 20 ივლისს სადამ ჰუსეინის ვაჟები მოკლეს (38 წლის უდეი და 26 წლის კუსაი). 2003 წლის 13 დეკემბერს სადამ ჰუსეინი დააპატიმრეს. სასამართლომ მას ბრალი დასდო: 1987-88 წელს სამხედრო ოპერაცია „ალ-ანფალის“ განხორციელება, რომლის შედეგადაც განადგურდა 80 ქურთული სოფელი, შიიტი სასულიერო პირებისა და ერაყელი ოპოზიციონერი პილიტიკური ლიდერების დახოცვა, 1988 წელს მომწამვლელი გაზის გამოყენება ქურთული მოსახლეობის მიმართ ჰალაბჯაში, სადაც ერთ დღეში ხუთი ათასი ქურთი დაიღუპა, შიიტთა აჯანყების ჩახშობა 1991 წელს, ქუვეითზე თავდასხმა 1990 წელს, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებები

[22] M.J. Kelly. Ghots Of Halabjia: Saddam Hussein and the Kurdish Genocide. 2008 y. 185-189p.

ადამიანთა წინასწარ დაგეგმილი მკვლელობების სახით. სასამართლომ მას მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ფორმა და ის 2006 წლის 30 დეკემბერს ჩამოახრჩვეს.

სხვადასხვა წყაროებში სადამ ჰუსეინის მმართველობის 35 წელი სხვადასხვანაირადაა შეფასებული, ერთი მხრივ, მასში ხედავენ პირადად სადამ ჰუსეინის დიქტატურას და პიროვნების კულტს, მეორე მხრივ კი ყურადღების გამახვილება ხდება თიქრითის კლანის დიქტატურაზე, მესამე მხრივ-ბაასის პარტიის როლის მნშვნელობაზე. შეიძლება თქვას, რომ სადამ ჰუსეინის მმართველობა იყო პოლიტიკური ხელისუფლების გადაჭარბებული პერსონალიზაცია. მას მოიხსენიებენ როგორც ლ-რა,ის, ალ- მუნაზილ, ალ ბატალ, ალ-მუფაქირ და სხვა, რაც ნიშნავს პრეზიდენტი, მებრძილი, გმირი და მოაზროვნე. [23]

ქურთისტანის დამოუკიდებლობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდა ერაყში ინტერვენციისა და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ამ პერიოდიდან მოყოლებული, რეგიონმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარკვეული ნიშნებიც კი შეიძინა და მათი ძალაუფლება მეტად განმტკიცდა, ასევე თვითგამორკვევის საკითხი დადგა დღის წესრიგში. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების იდეა გასული წლების მანძილზე არაერთგის გახმიანდა, თუმცა თეორიადვე დარჩა. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, გეოპოლიტიკური სირთულეები, ხოლო მეორე მხრივ თავად ქურთულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის არსებული უთანხმოება იყო. რეგიონის დედაქალაქ ერბილში გაიხსნა სხვადასხვა ქვეყნები დიპლომატიური წარმომადგენლობები, გაძლიერდა რეგიონის საერთაშორისო კავშირებიც. მეტიც, მალე რეგიონის ხელმძღვანელობამ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა მიმდინარე ტერიტორიებიც. ქურთები დასავლეთის უპირობო მოკავშირეებად გადაიქცნენ. ქურთული სამხედრო შენაერთი - ფეშმერგა კი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ძალა გამოდგა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში.

[23] სადამ ჰუსეინის დატყვევებით საბოლოოდ დასრულდა მისი მმართველობის 25 წლიანი ეპოქა. გვ1. https://www.radiotavisupleba.ge/a/1532541.html (უკანასკნელად გადამოწებულია (19.12.2019)

3.3. აშშ-ის ინტერვენცია და ერაყის ქურთისტანის ავტონომიის იურიდიულად გაფორმება

1991 წელს შეერთებულ შტატებსა და ერაყს შორის პირველი კონფლიქტის დროს ქურთებმა შეძძლეს ავტონომიური ზონის შექმნა ჩრდილოეთ ერაყში, რომელიც ცოტა ხნით დარჩა ნახევრად დამოუკიდებელი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზონა მულაჰ მუსტაფა ბარზანის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა, მან იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე ნებისმიერმა სხვა ქურთმა ლიდერმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ერაყში შეჭრის მიზეზი დღემდე განხილვის საგნად რჩება და გაურკვეველია ის თუ რას წარმოადგენდნენ მნიშვნელოვანი მოთამაშეები, რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა იქონიეს ამ ქმედებაზე. ასევე ჩნდება ბევრი კითხვა იმასთან დაკავშირებით თუ რის მიღწევას ცდილობდნენ ერაყში შესვლით, რამდენად ეფექტური იყო ამერიკის შეერთებული შტატების მმართველობის პერიოდი ერაყში და სხვ. ეს მცირე ჩამონათვალია იმ გაჩენილი კითხვებისა, რომლებიც ჩნდება სპარსეთის ყურის მეორე ომის ირგვლივ არსებული ბუნდოვანების განეიტრალებისკენ. იქიდან გამომდინარე, რომ საკმაოდ დიდი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით აარ არის ხელმისაწვდომი და დაფარულია, სრულყოფილი პასუხების გაცემა შეუძლებელი ხდება. ერაყით ჯორჯ ბუში პრეზიდენტობამდე დიდი ხნით ადრე დაინტერესდა. ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ ბუშებისთვის სადამ ჰუსეინი (ერაყის დიქტატორი) ერთგვარი პირადი საქმე გახდა.

თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის მოვლენები გახდა ის ერთ-ერთი საგანი, რის გამოც ამერიკის შეერთებული შტატები ერაყში შეიჭრა. მას პირადი მტრის მოშორება სურდა, ნავთობის ახალ წყაროზე კონტროლის დამყარება

და ერაყის ბირთვულ სახელმწიფოდ გადაქცევისთვის ხელის შეშლა. ერთი შეხედვით აშშ-ის სურდა ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის დამყარება, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამან მისი გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენა იქონია. ერაყის დემოკრატიზაციას პროპაგანდისტული მნიშვნელობა უფრო ჰქონდა, ვიდრე გულწრფელი სურვილი ქვეყანა წაეყვანათ დემოკრატიის გზით. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ, რომ თავისი ლიბერალური დემოკრატიული ფასეულობები გაავრცელონ სხვადასხვა ქვეყნებში. იგი ერთპიროვნულად იქცა თავისი მსგავსი სიძლიერის ოპონენტის არ არსებობის პირობებში. მას გააჩნია მოტივი, რომლის სახელწოდებაცაა „დემოკრატიის ექსპორტი“ და სწორედ ეს მოტივი იყო ერაყთან მიმართებაში მისი მამოძრავებელი. თუ ის სამხედრო ბაზებს განათავსებს რეგიონში მის გავლენის ქვეშ მოექცევა ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რეგიონი. [24]

ერაყთან ომი ემსახურებოდა იმ ელიტის მიზნებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ნავთობთან. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი სწორ შესაძლებლობად ჩათვალეს და ერაყი გაწირეს თავისი იდეოლოგიის განსახორციელებლად. ერაყის საკითხში პრეზიდენტის ქმედება გამომდინარეობდა მისი ინტერესებიდან. გარდა იმისა, რომ ერაყთან კონფლიქტის წარმატებით დასრულება მამის მიერ წამოწყებულ საქმეს საბოლოოდ დაუსვამდა წერტილს, ასევე მას შეუქმნიდა საკმაო ძლიერი პრეზიდენტის იმიჯს მოუტანდა დიდ პოპულარობას შემდეგი არჩევნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ერაყის საკითხი მუდმივი განხილვის საკითხი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არსებულმა მოსაზრებებმა და თეორიებმა სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებული სახე ტერაქტის შემდეგ მიიღო. სწორედ აქედან დაიწყო ნეოკონსერვატორების იდეების გაფრთიანება. რამსფელდის გეგმის მიხედვიდ წარიმართა ომი და მთელმა მსოფლიომ იხილა ახალი ტაქტიკა.

---

[24] ნ. გელოვანი. „შიიზმი და ეთნოკონფესიური კონფლიქტი ერაყში“ ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. VI. 2009 წ. 35-38გვ.

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის სპარსეთის ყურის მეორე ომი უდიდესი გამარჯვება იყო. რამსფელდს სურდა ერაყის გამოყენება, რათა მთელს მსოფლიოს ენახა აშშ-ის სამხედრო სიძლიერე. ყველაფერთან ერთად აქტიურად მიმდინარეობდა ერაყის დადანაშაულება ტერორიზმთან კავშირში და მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამების ფლობაში. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ მამხილებელი ფაქტები მოეპოვებინათ ამის თაობაზე თუმცა უშედეგოდ. ეს ომის შედეგებმაც ცხადჰყო. ომის წამოწყების ძირითადი საბაბი არ გამართლდა. იმ პერიოდში ამერიკული საზოგადოება და მისი მიმდევარი ევროპელებიც იჯერებდნენ სამთავრობო პირების გამოსვლებს და მხარდაჭერს უცხადებდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობას ერაყის წინააღმდეგ.

არსებული წყაროებიდან და მოვლენების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი არ გააჩნდა და არც ალ-ქაიდანსთან ჰქონდა რაიმე კავშირი. ამის შესახებ ინფორმაცია დროდადრო მიეწოდებოდა აშშ-ის პრეზიდენტსა და მაღალჩინოსნებს, მაგრამ ამას ომის წამოწყებაში ხელი არ შეუშლია. სავარაუდოდ აქ სადამ ჰუსეინის გადაწყვეტილებამაც იქონია დიდი გავლენა, როცა მან არ შეუშვა ერაყში გარტოს ინსპექტორები. რა საკვირველია დღეს მსოფლიო საზოგადოება უკეთესად ინფორმირებულია ვიდრე 2001-2003 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება იყო. მან ფაქტობრივად წინასწარ სცნო ერაყი დამნაშავედ ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში, მაგრამ როგორც კი შეიჭრა ამ უკანასკნელში და გამოიძიეს ყველა ფაქტი ყველაფერი სიცრუე აღმოჩნდა. არც ის ფაქტია გასაკვირი, რომ აშშ-ისთვის ერაყი ეკონომიკურად მიმზიდველი იყო. მას სურდა, რომ ფეხი მოეკიდებინა რეგიონში თავისი ინვესტორებით, თავისუფალი ბაზრის შექმნით და რა თქმა უნდა ნავთობკომპანიებისა და კორპორაციების შექმნით. ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობა საკმარისი იყო ქვეყნის ოკუპაციისთვის, მაგრამ წესრიგის დამყარების, უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად და სტაბილიზაციისათვის საჭირო იყო

ბევრად მეტი ჯარისკაცი. ომის შემდგომ პერიოდში აშშ-მა ვერ შეძლო ერთიანობის შენარჩუნება. ერთიანი ხელისუფლების შექმნის იდეა იდეად დარჩა, რადგან ცენტრალურმა სარდლობამ და კოალიციის დროებითმა ხელისუფლებამ სხვადასხვა მიმართულებით დაიწყეს მოქმედებები. [25]

ყველაფერ ამ მოვლენებთან ერთად ერაყს ახალი დიქტატორი გამოუჩნდა ბრემერის სახით. მისი დროინდელი მოვლენების კვლევებმა ცხადყჰო, რომ დემოკრატიული მთავრობის შექმნასთან ერთად ის ერაყში კერძო ბიზნესკომპანიებისთვის სასურველი პირობების შექმნისთვის იბრძოდა. ქვეყანაში სიტუაცია დაიძაბა მას შემდეგ, რაც დებაასიფიკაციის პროცესი დაიწყეს და პარტიის წევრებს აეკრძალათ მთავრობაში ყოფნა და სამსახურიდან დაითხოვეს ძალოვანი უწყებების თანამშრომლები. დაიწყო აჯანყებისთვის მზადება, რომელიც გაამწვავა ბევრმა სამხედრო და პოლიტიკურმა შეცდომებმა. მას შემდეგ, რაც აშშ-მა გადაწყვიტა ომი დაეწყო მინიმალური სამხედრო ძალებით, შემდეგ უკვე წესრიგის დამყარება ვეღარ შეძლო. მან ასევე უარი თქვა მნიშვნელოვანი ძალებისა და დამხმარე შენაერთების განთავსებაზე და ერაყის არმია დაშალა, ათასობით შეიარაღებული ადამიანი კი ქუჩაში გაუშვა.

ერაყის ყველა - პოლიტიკური, ეკონოკომიკური თუ სოციალური პრობლემა ამერიკის შეერთებული შტატების პრობლემა გახდა. მან ვერ გათვალა, რომ დემოკრატიულად სუსტი ტრადიციების ქვეყანას დიდი დრო დაჭირდებოდა გარდამტეხი ცვლილებების გასატარებლად და ეს საკმაოდ რთული, გრძელი და დამღლელი პროცესი გახდებოდა. ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ერაყს დემოკრატია და ამ პრინციპებზე დაყრდნობით არჩეული მთავრობა არასდროს ჰყოლია. მისთვის უცხო იყო არაკორუმპირებული და არჩევითი მთავრობა. აშშ-ი რეალურ სურათს ვერ აფასებდა და აქედან გამომდინარე ბევრ შეცდომას უშვებდა. არ ითვალისწინებდა

[25] J. Bamford. A Pretext War: 9/11. Iraq and and the abuse of America,s intelligence Agencies. 2005y. 88-91 p.

რელიგიურ და კულტურულ განსხვავებებსაც და ის ხშირად ძალასაც ამეტებდა, რაც ხელს უშლიდა ერაყის დაცვის სტრაეგიას.

ფაქტია, რომ ის ძალადობა, რაც ერაყში ჩაისახა, ნაწილობრივ უცხოური ძალის უარყოფისკენ იყო მიმართული. მაგრამ ძირითადად გამოწვეული იყო ახალი სახელმწიფო სისტემის გაურკვევლობით. როდესაც მართვის სადავეებს ადგილობრივი ხელისუფლება ვეღარ იმორჩილებს, რომელსაც იმის ძალა არ გააჩნია, რომ უზრუნველყოს უსაფრთხოება ქვეყანაში, დიდი შანსია იმისა, რომ სიტუაცია მწყობრიდან გამოვიდეს. 2006 წელს ერაყში მიმდინარე პროცესები ერაყის მთავრობის უსაფრთხოების ძალების ზრდასთან ერთად იყო სწრაფად მზარდი ძალადობის შედეგი.

2006 წლიდან დაიწყო ერაყის მიმართ ძირეული ცვლილებები, როცა ძალადობამ პიკს მიაღწია. ის ფაქტი, რომ აშშ-მ დამოუკიდებლად წამოიწყო ომი ერაყთან იმის ნიშანი იყო, რომ ის მზად იყო ემოქმედა საჭიროებისამებრ საერთაშორისო საზოგადოების გარეშე. პირველ ეტაპზე მათმა გეგმამ გაამართლა და ამას მოჰყვა სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის დამხობა. მაგრამ დროთა განმავლობაში ერაყში ეს ეფექტი დაიკარგად და შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ ეს მართებული მიდგომა არ იყო და თავდასხმებთან და შეტევებთან ერთად საჭიროა ტერიტორიების შენარჩუნება და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რათა ქვეყანაში არ შეიქმნას ქაოტური სიტუაცია. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ გათვალა ერაყის სათანადო სიძლიერე და შესაბამისად წესრიგიც ვერ დაამყარეს. ამიტომაც აქედან გამომდინარე მიიღეს არეულობა და ტერორი. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დროს ვერ მოხერხდა ერაყის ქურთისტანის პრობლემის გადაჭრა.

2008 წელს კი ერაყსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, სადაც გაიწერა აშშ-ს ჯარის გასვლის ვადები. 2011 წლიე 31 დეკემბერს კი ამერიკელმა ჯარისკაცება ოფიციალურად დატოვეს ერაყის ტერიტორია, თუმცა 2014 წელს სამხედრო საჰაერო შენაერთები დაბრუდნენ ქვეყანაში

ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად. 2008 წლის შეთანხმებამ ფაქტობრივად ერაყის ოკუპაცია დაასრულა და ხელისუფლება დაუბრუნა ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებს. მიუხედავად ამ ფაქტებისა, ერაყში დღევანდელი ვითარება ისევ არასტაბილურია.

2014-2018 წლებში „დაიშ"-ის წინააღმდეგ აშშ-ის მეთაურობით მებრძოლ საერთაშორისო კოალიციას სირიელმა ქურთებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს. ვაშონგტონს კი, რომელიც ქურთების მადლობელია, ნატო-ში თავის მოკავშირე თურქეთისა და ერაყის უარყოფითი განწყობის გათვალისწინება უწევს. ტრამპი კი არ მალავს თავის სურვილს, რომ რაც შეიძლება მალე გამოეთიშოს სირიის კონფლიქტს. მას ასევე არ სურს გააგრძელოს შუამავლის როლი პალესტინა-ისრაელის ურთიერთობებში. ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ახლო აღმოსავლეთში დომინანტი ძალის როლი ბოლო პერიოდში გაუფერულდა. რუსეთი და უფრო შორეული ჩინეთი უკვე მკაფიოდ აჩენენ თავიანთ კლანჭებს. მაგრამ მიუხედავად მძიმე ტვირთისა, ძლიერი მეტოქა აშშ-ს ამ რეგიონში ჯერჯერობით არ ჰყავს. [26]

3.4. ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი და მისი შედეგები

ერაყის ქურთისტანის რეგიონულმა მთავრობამ, არაერთი სირთულის მიუხედავად, 2017 წლის 25 სექტემბერს ცალმხრივად ჩაატარა მრავალჯერ გადადებული რეფერენდუმი დამოუკიდებლობის თაობაზე, სადაც მონაწილეთა 92,7 პროცენტმა მხარი დაუჭირა რეგიონის ერაყისაგან გამოყოფას. რეფერენდუმის ჩატარება, რა თქმა უნდა არ ნიშნავდა დამოუკიდებლობის ავტომატურად გამოცხადებას. ადგილობრივი ხელისუფლება რეფერენდუმის შედეგებზე

[26] K. Sean. R. Joost. Hiltermann and raad alkadiri. Iraq,s Federalizm Quandary. The national interest. 2012y. 20-25p.

დაყრდნობით გეგმავდა მოლაპარაკებების დაწყებას ერაყის ცენტრალურ ხელისუფლებასა და მეზობელ ქვეყნებთან. ამასთან, ერაყის ქურთისტანის პრეზიდენტი მასუდ ბარზანი რეფერენდუმის ჩატარების გზით იმედოვნებდა დაკარგული პოპულარობის გაზრდას ქურთ ამომრჩელებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარე საფრთხეების მიუხედავად, რომელსაც ერთი შეხედვით, ქურთების კონსოლიდაციისთვის უნდა შეეწყო ხელი, მათში ყოველთვის ძლიერი იყო პოლიტიკური ფრაგმენტაცია. თუ ერაყის ქურთისტანის ერბილის გუბერნიაში მემარჯვენე ორიენტაციის „ქურთისტანის დემოკრატიული პარტია“ დომინირებდა, სულაიმანიეს პროვინციას მემარცხენე მიმართულების „ქურთისტანის პატრიოტული კავშირი“ აკონტროლებდა. ხოლო თურქეთთან, ირანთან და სირიასთან მოსაზღვრე ჩრდილოეთ ერაყის პროვინციებში ძლიერია ტერორისტულ ორგანიზაციად მიჩნეული მარქსსტული მიმართულების „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ პოზიციები. მათ შორის დაპირისპირება არაერთხელ გადაზრდილა დიდ შეტაკებებსა და სისხლისღვრაში. ისინი დღესაც ერთმანეთს ღალატსა და უცხო სახელმწიფოების ინტერესების გატარებაში ადნაშაულებენ, როდესაც საუბარი 16 ოქტომბრის ირანის მიერ ზურგგამაგრებული ერაყის შეიარაღებული ძალებისა და შიიტური „ჰაშს ალ-შააბის“ დაჯგუფების მიერ ქალაქ ქირქუქის თითქის უბრძოლველად დაკვებაზე.

ერაყის ქურთისტანის რეგიონულმა მთავრობამ რეფერენდუმის ჩატარებით ძეძლო პატრიოტიზმის ტალღის აგორება და დამოუკიდებლობის იდეის გარშემო სხვადასხვა ძალების გაერთიანება, მაგრამ აშკარად ვერ გათვალა გარე აქტორების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება რეფერენდუმის მიმართ. რომ აღარ ჩავუღრმავდეთ რეფერენდუმის იდეისადმი ერაყის ცენტრალური ხელისუფლების მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას, ბარზანიმ გადაიკიდა თავისი ყოფილი პარტნიორები თურქეთისა და ირანის სახით, რომლებიც მეტად მგრძნობიარენი არიან ქურთული

საკითხის მიმართ. ერაყის ცენტრალურ ხელისუფლებას სოლიდარობა გამოუცხადეს სხვა არაბულმა ქვეყნებმა და ასევე რუსეთმაც. [27]

ვაშინგტონმაც, როგორც ერაყელი ქურთების უმთავრესმა მოკავშირემ შექმნილ სიტუაციაში ერაყის ტერიტორიულ მთლიანობას დაუჭირა მხარი. მას არანაირად არ აწყობს „ერაყის პროექტის“ ჩავარდნა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვარაუდობენ, რომ ქურთისტანის გამოყოფის შემთხვევაში შესაძლოა დაემხოს ერაყის ახლანდელი მთავრობა და ძალაუფლება ხელში რადიკალმა შიიტურმა ძალებმა ჩაიგდონ, რომლებიც სრულად მოეცევიან ირანის გავლენის ქვეშ.

ისრაელი რეგიონის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით ღიად უჭერს მხარს ერაყელი ქურთების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. ამის მიუხედავად ერბილში კარგად ჰქონდათ გაანალიზებული, რომ თავისი არა უშუალო მეზობლის მხარდაჭერა საკმარისი არ იქნებოდა თურქეთ-ირანის მიერ უკვე დაწესებული სანქციების შესაჩერებლად, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გადაიზარდოს სრულ სახმელეთო ბლოკადაშიც. ერაყის ქურთისტანის ხელისუფლება 25 ოქტომბერს გამოვიდა რეფერენდუმის შედეგების შეჩერების ინიციატივით. აღსაღნიშნია ის ფაქტიც, რომ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ერაყის ცენტრალური ხელისუფლებისა და მისი მოკავშირეებისთვის. ამიტომ „ფეშმერგას“ პოზიციებზე გაგრძელდა შეტევები.

რეფერენდუმის ჩატარებას კი ბევრი სირთულე მოჰყვა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ერაყის ქურთისტანში დამოუკიდებლობის საკითხმა თეორიული დისკუსიიდან გადაინაცვლა კონკრეტულ პროცესში. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხმა გააერთიანა მანამდე ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ქურთული ჯგუფები და პარტიები. ამ სიტუაციაში რეალური გამოსავალი მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგია, რომელსაც მეთვალყურეობა და პატრონაჟი

[27] გ. სანიკიძე. გ. ალასანია. ნ. გელოვანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან XIXს-XXIს-ის დასაწყისი. თბილისი 2011 წ. 422-430გვ.

საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გაუწიოს. თუ ეს არ მოხდება კონფლიქტის გადაზრდა შეიძლება მოხდეს სამხედრო დაპირისპირებასა და სისხლისღვრებში, რისი მომსწრეც არაერთხელ გამხდარა ახლო აღმოსავლეთი და არამარტო ის.

რეფერენდუმისა და ახალი სახელმწიფოს შექმნის იდეის მიმართ ერაყის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად რეგიონის ქვეყნების განწყობა მკვეთრად უარყოფითია. ერაყის პრეზიდენტმა რეფერენდუმს არაკანონიერი და არაკონსტიტუციური უწოდა, რაც ერაყის პარლამენტმაც მოიწონა. პრემიერ მინისტრმა არ გამორიცხა შეიარაღებული ძალების ჩარევაც ა ამ პროცესში. ფოემალურად ამის მიზეზი შეიძლება გახდდეს „ისლამური სახელმწიფოს“ გარკვეული ნაშთების არსებობა ქურთსტანის ტერიტორიაზე, მაგრამ მთავარი საკითხი მაინც კირკუკის თემაა, სადაც ერაყის ნავთობისა და ბუნებრივი აირის სერურსების 10 პროცენტია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი ეთნიკური ჯგუფისთვის (ქურთები, არაბები და თირქმენები), მაგრამ გამორჩეულად მაინც ქურთებისთვის, რომლებიც ამ ტერიტორიას თავის იერუსალიმად მიიჩნევენ.[28]

ერაყის 2005 წლის კონსტიტუციის მიხედვით ქვეყნის გარკვეული ნაწილის რომელიმე რეგიონისადმი მიკუთვნება რეფერენდუმმა უნდა გადაწყვიტოს. არაბული და თურქმენული მოსახლეობის შემცირების, ხოლო ქუთული მოსახლეობის გაზრდის პირობებში. ასეთი რეფერენდუმის შედეგი კი კირკუსთვის ცნობილია. მაგრამ ჰიდროკარბონატების შესახებ ერაყის ფედერალური კანონი სტატუსის შეცვლას შეუძლებლად აქცევს. ერაყის ქურთისტანისთვის ენერგორესურსების კონტროლი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონფლიქტი არ შეიძლება მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორზე დავიდეს. მისი მთავარი მიზეზი ქურთების მეხსიერებაში ღრმად აღბეჭდილი ისტორიული უსამართლობის გრძნობაა და მათი მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ“. აღსაღნიშნი ფაქტია ისიც, რომ „არაბული ქვეყნების ლიგამ“ მკაცრად დაგმო რეფერენდუმის ჩატარება. არაბული

[28] S. Wolff. resolving the status of a disputed territory in post-American Iraq. 2010 y. 1361p.

სამყაროსთვის მიუღებელის „არაბული“ ერაყის დაშლა, რა მომავალში შესაძლოა გახდეს რეგიონის სხვა არაბულ ქვეყნებში ეთნიკურ-რელიგიური უმცირესობების გააქტიურების წამახალისებელი. ისრაელია ის ერთადერთი ქვეყანა რომელიც მხარს უჭერს ქურთისტანის დამოუკიდებლობას და აღიარებს რეფერენდუმის შედეგებს. მის ინტერესში შედის მასთან დაპირისპირებული არაბული სამყაროსათვის ახალი თავსატეხის გაჩენა.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ თავშეკავებილია. მისმა სახელმწიფო დეპარტამენტმა მწუხარება გამოთქვა ერაყის ქურთისტანის ხელმძღვანელობის მიერ რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილების გამო. აქვე ხაზი გაუსვეს იმას, რომ ეს ვერ შეცვლის ისტორიულ ურთიერთობებს. აშშ-ს პოზიცია ქურთების მიერ კირკუკისა და სხვა სადავო რეგიონების ანექსიასთან დაკავშირებითაც მყარი იყო, რადგან ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ამ ფაქტს. თურქეთის პოზიციაც დიდ ყურადღებას იქცევს, როგორც რეფერენდუმისადმი, ისე ზოგადად ქურთული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივისადმი. მეოცე საუკუნის 80-90 -იანი წლებიდან მოყოლებული, თურქეთს საკმაოდ მჭიდრო, ერთი შეხედვით არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა ერაყელ ქურთებთან. თუმცა წამყვანი პოლიტიკური ძალის-ქურთისტანის მუშათა პარტიის დამოკიდებულება საერთო ჯამში უარაოფითია. ქმპ რეფერენდუმს მასუდ ბარზანის მიერ ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით წამოწყებულ პოლიტიკურ თანაშს უწოდებს და მხარს უჭერს „დემოკრატიულ ავტონომიას“ ერაყის ქურთისტანში.

რეფერენდუმის შემდეგ, ნავთობით მდიდარი კირკუკის და სხვა სადავო პროვინციებისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გაღვივდება - „ერაყის ხელიდუფლება და ასევე ირანიც, ხისტად უდგებიან კირკუკის საკითხს. ბაღდადი მიიღნევს, რომ კირკუკი ქურთისტანს ძალადობრივად აქვა დაპყრობილი. ერაყი კი მზადაა საჭიროების შემთხვევაში ქურთული გავლენისგან გაწმინოს ირანის დახმარებით. მაშნ როცა ქურთები ამბობენ, რომ ამ ტერიტორიის გარეშე ქურთისტანი არ არსებობს. ნავთობის

გამო აქ უამრავი გლობალური და რეგიონალური მოთამაშის ინტერესი იკვეთება, რამაც შესაძლოა ახლო აღმოსავლეთი ხელახლა ააფეთქოს და ISIS - თან ბრძოლაც გაართულოს. [29]

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, გამომდინარე იქიდან, რომ ამ რეფერენდუმის შედეგები რეგიონში მოქმედ ბევრ სხვა აქტორთან ერთად არც საერთაშორისო თანამეგობრობამ მოიწონა და ლეგიტიმურად მიიჩნია. ეს საკითხი მოუგვარებელი რჩება რეგიონისთვის და სამწუხაროდ არც მისი მოგვარების პერსპექტივა ჩანს.

დასკვნა

ქურთები ახლო აღმოსავლეთის რეგიონის უძველესი მოსახლეობაა. ისინი დიდიხნის განმავლობაში სახლობენ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც დღეს არიან წარმოდგენილნი. ისინი ყოველთვის მრავალრიცხოვანი იყვნენ, მაგრამ ერთიანი სახელმწიფო არ გააჩნდათ.

[29] ერაყის ქურთისტანის საკითხი რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში. გვ1. https://www.gfsis.org/ge/blog/view/764 (უკანასკნელად გადამოწმებულია 24.12.2019)

პირველი სახელმწიოფოებრივი წარმონაქმნი ქურთებს ადრე შუა საუკუნეებში ჰქონდათ.ეს იყო აიუბიანთა სამეფო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს სახელმწიფო საკმაოდ დღემოკლე აღმოჩნდა, მან არსებობა მალე შეწყვიტა, მაგრამ თავისი არსებობის მოკლე პერიოდის მანძილზე საკმაოდ მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა და ამავედროს დიდი როლი შეასრულა რეგიონის ისტორიაში.

ქურთებით დასახლებული ტერიტორია ყოველითვის იყო დიდი იმპერიების ცილობის ობიექტი. ამ ტერიტორიისათვის მათ შორის საბრძოლო დაპირისპირებებს ხშირად ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით საინტერესოა ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიების დაპირისპირება ქურთისტანთან დაკავშირებით. მათ შორის არსებული ყოველი ომის შემდეგ ზავის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქურთისტანი იყო.მათ ქურთისტანი გაინაწილეს და მათ ეწოდებოდათ სპარსეთის ქურთისტანი და ოსმალეთის ქურთისტანი.ეს ვითარება გრძელდებოდა მათი იმპერიების დასრულებამდე.

მიუხედავად იმისა,რომ ქურთებს სახელმწიოფებრიობის ძალიან მოკლე ისტორია აქვთ, მათი მისწრაფება ერთიანი ქურთული სახელმწიფოსადმი მეტნაკლებად მაინც ჩანდა, მაინც გამოვლინდებოდა ხოლმე. ამის ნათელი მაგალითია პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და ომის შემდგომ დადებულ შეთანხმებებში „ქურთისტანის საკითხის“ გააქტიურება. აღნიშნული პრობლემა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იქნა წარმოწეული საიქს-პიკოს და სევრის ხელშეკრულებებში. თითქოს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ უნდა შექმნილიყო ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ აღნიშნული სახელმწიფოს შექმნა, რომ სერიოზულ პრობლემას შექმნიდა რეგიონისათვის, ეს კარგად გააცნობიერეს ზესახელმწიოფოებმა და ის მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ქურთისტანის საკითხი გადაწყდა ისე, რომ ეს ტერიტორია ოთხი სახელმწიფოს შემადგენლობაში იქნა გადანაწილებული: ირანი,

თურქეთი, ერაყი, სირია. ამით ქუთისტანის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას თითქოს წერტილი დაესვა,მაგრამ მომდევნო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ქურთისტანის საკითხი რეგიონისა და მთლიანად მსოფლიო პოლიტიკის „დღის წესრიგიდან“ არ მოხსნილა და ის დროდადრო საკმაოდ აქტუალური და პრობლემატურიც ხდებოდა.

განსაკუთრებული აქტიურობით ყოველთვის ერაყელი ქურთები გამოირჩეოდნენ.მათი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ ჯერ ავტონომიის მოთხოვნით,შემდეგ კი სრული დამოუკიდებლობის მოპოვებით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუახანებიდან გამოიკვეთა.ეს პროცესი არც ერაყელი ქურთებისათვის და არც საკუთრივ ერაყის სახელმწიფოსათვის არ იყო მარტივი.ერაყის ქურთისტანის აქტიურობა საკმაოდ მტკივნეულად აისახებოდა არამცთუ ერაყის სახელმწიფოზე, არამედ მთლიანად რეგიონზე განსაკუთრებით კი ქურთებით დასახლებულ ქვეყნებზე.

ყველაზე აქტიურობით ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მუსტაფა ბარზანი გამოირჩევა.ის არამხოლოდ ერაყში აქტიურობდა,მას დიდი წვლილი ირანის ქირთისტანის საკითხის წინ წამოწევაშიც მიუძღვის.ფაქტია,რომ მისი დიდ მცდელობას შედეგიც მოჰყვა.ერაყელმა ქურთებმა სხვა სამი დანარჩენი ქვეყნის ქურთებსგან განსხვავებით ავტონომიური უფლებები მოიპოვეს და უფრო შორსაც წავიდნენ-მხარდაჭერა ჰპოვეს რეგიონს გარეთაც.ეს დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია.

თემის ჰიპოთეზა დადასტურდა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია ერაყის ქურთებისათვის უმძმესი პერიოდი მათი დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ ბრძოლის გზაზე იყო. ამ ქვეყანამ ბევრი სირთულე გამოიარა, განსაკუთრებით სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში. ბევრ ხერხსაც მიმართა აჯანყებებისა და ომების სახით. რეფერენდუმის ჩატარებით მან კიდევ ერთხელ სცადა ქვეყანაში დემორატიის დამყარება, თუმცა უშედეგოდ. მისი დამოუკიდებლობის საკითხი დღემდე გაურკვეველია.

სადამ ჰუსეინი სასტიკად უსწორდებოდა ქურთების ყოველნაირ გამოვლინებას დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაში. ამისთვის ყველა ხერხსა და იარაღს იყენებდა. განსაკუთრებით მძიმეა მათთვის ირან-ერაყის ომის პერიოდი, როდესაც ერაყის მაშინდელმა ლიდერმა საშინლად დაბომბა ერაყის ქურთისტანის ერთ-ერთი მნიშვნელობანი ქალაქი ჰალაბჯა. აქედან გამომდინარე, სადამ ჰუსეინისათვის ქურთები დაუძინებელი მტრები გახდნენ და მისი რეჟიმის დასრულებში მათ დიდი წვლილი შეიტანეს.

ნაშრომში აღნიშნული ჰიპოთეზა კვლევის შედეგად დადსტურდა, რადგან ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე დღეისათვის და აუხლოეს მომავალში შეუძლებელია ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის მოპოვება. ერაყის ქურთისტანი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ააქტიურებს სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასრულების შემდეგ. თითქოს ამისთვის ერაყში ყველა პირობა შეიქმნა. მათ თავიანთ უმთავრეს მოკავშირედ აშშ მიაჩნდათ და სავარაუდო იყო მათი სრული დამოუკიდებლობა. ექსპერტების ნაწილმა ხშირად ივარაუდეს კიდეც ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს- „ქურთისტანის“ შექმნა. მათ მყარ არგუმენტად ამ საკითხთან დაკავშირებით ისრაელის მაგალითი მოჰყავდათ და მოჰყავთ დღესაც. ერაყის ქურთისტანში რეფერენდუმიც კი ჩატარდა უახლოეს წარსულში, რის შედეგადაც კიდეც გადაწყდა თითქოს ერაყის ქურთისტანის პრობლემა, მაგრამ მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც ვარაუდობდნენ- რეფერენდუმის შედეგენბი ქაღალდზევე დარჩა შედეგებად.

ფაქტია, რომ ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობა მხოლოდ ამით არ დასრულდება. ის გადაედება დანარენი სამი სახელმწიფოს ქურთებსაც, ანუ ჯაჭვურ ხასიათს მიიღებს და ამ რეგიონში, რომელიც კონფლიქტებით გამოირჩევა, ისედაც მძიმე პოლიტიკურ ფონს კიდევ უფრო გაართულებს და არაპროგნოზირებადს გახდის. ეს კარგად არის ცნობილი, როგორც ერაყის ქურთისტანის, ისე ზოგადად ქურთებისა და რაც მთავარია, მათი „მხარდამჭერებისათვის“. აქედან გამომდინარე,

ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის საკითხი ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება. მათ აქვთ ფართო ავტონომია. როგორც ასეთი ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნა ცოტა არ იყოს არარეალურია შექმნილ ვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი. ტ. 1. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018.
2. გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“ თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011 (მესამე გამოცემა).
3. გელოვანი ნ. „შიიზმი და ეთნოკონფესიური კონფლიქტი ერაყში“ ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. VI. 2009 წ.
4. გიგინეიშვილი ო. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია. თბილისი. მეცნიერება 1983 წ.
5. ესაძე ს. „ქურთები“. 1927წ. N2.
6. სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან XIXს-XXIს-ის დასაწყისი. თბილისი 2011 წ.
7. ჯამბურია გ. ირან-ოსმალეთის ახალი ომი, ქართლ-კახეთის სამეფოები. “სინ” ტ. IV. 1973 წ.
8. ჯაფარიძე გ. „საქართველო-მახლობელი აღმოსავლეთის ურთიერთობების ისტორია საქართველოს, ისტორია“. XII-XIII ს.ს. 1995 წ.
9. М. С. Лазарева и Ш. Х. Мгои. „История Курдистана, курдских исследований“. 1999г.
10. Bamford. J. A Pretext War: 9/11. Iraq and and the abuse of America,s intelligence Agencies. 2005y.
11. Elton L. „The History of Iran“. 2012 y.
12. Erickson E. J. Ordered to Die: A History of the Ottoman Army in the first World War. London: Praeger. 2000 y.
13. Gareth M. The Kurdish Question and Turkey: An Example of a Trans-state Ethnic Conflict. London and Portland, Or: Frank Cass. 1997y.
14. Karsh E. Saddam Hussein A Political Biograph. 1991y.
15. Korn D. „The Last Years of Mustafa Barzani“. The Middle East Quarterly 1, no.2. 1994y.
16. Kelly M.J. Ghots Of Halabjia: Saddam Hussein and the Kurdish Genocide. 2008 y.
17. Mcdowall. D. „A Modern History of the Kurds“. 2004 y.
18. Richards a. Waterbury j. A Political Economy of the Middle East. 2008 y.
19. Said A. Saddam Hussein. 2001y.
20. Sean K. Joost R. Hiltermann and raad alkadiri. Iraq,s Federalizm Quandary. The national interest. 2012y.
21. Wolff. S. resolving the status of a disputed territory in post-American Iraq. 2010 y.

ინტერნეტრესურსები

22. მთები მეგობრების ნაცვლად-ვინ არიან ქურთები და რა ბედი ელით მათ სირიაში. http://www.tabula.ge/ge/story/157726-mtebi-megobrebis-nacvlad-vin-arian-qurtebi-da-ra-bedi-elit-mat-siriashi (უკანასკნელად გადამოწებულია 19.12.2019)
23. The Sykes-Picot Agreement 1916. https://avalon.law.yale.edu/20th_century/sykes.asp (უკანასკნელად გადამოწმებულია 24.12.2019)
24. ცნობილი ადამიანები - შაჰ აბას I https://www.gfsis.org/files/my-world/13/06.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 24.01.2019)
25. ერაყის ქურთისტანის საკითხი რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში https://www.gfsis.org/ge/blog/view/764 (უკანასკნელად გადამოწმებულია 24.12.2019)
26. ქურთისტანის ახალი სახელმწიფო-იმედები და საფრთხეები. https://www.timer.ge/qurthistanis-akhali-sakhelmtsipo-imedebi-da-saprthkheebi/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 24.12.2019)
27. სადამ ჰუსეინის დატყვევებით საბოლოოდ დასრულდა მისი მმართველობის 25 წლიანი ეპოქა. https://www.radiotavisupleba.ge/a/1532541.html (უკანასკნელად გადამოწებულია (19.12.2019)
28. ქურთისტანი: გზა რეფერენდუმიდან დამოუკიდებლობამდე. http://www.tabula.ge/ge/story/122459-qurtistani-gza-referendumidan-damoukideblobamde (უკანასკნელად გადამოწმებულია 24.12.2019)
29. მონჟისარის ბრძოლა (1177): იერუსალიმის კეთროვანი მეფე სალადინს ამარცხებს. https://davidblogspace.wordpress.com/2017/11/28/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9F%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90-1177-%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 24.12.2019)